თანამედროვე პირობებში პარტიის იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის მთავარი ამოცანა ის არის, რომ იდეოლოგიურად უზრუნველყოს სკკპ პროგრამის განხორციელება, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის, პარტიამ დასახა ახალი ადამიანის აღზრდის დიდი და პასუხსაგები ამოცანა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა პარტიული ორგანიზაციები შეიარაღა მოქმედების კონკრეტული პროგრამით, მიუთითა, რომ მუდამ მზადყოფნაში იქონინონ მძლავრი იდეური იარაღი.

პლენუმის გადაწყვეტილებებმა ახალი შინაარსით შეავსეს პარტიული ორგანიზაციების მთელი იდეური მოღვაწეობა. ეს მოღვაწეობა უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა ცხოვრებას, გახდა უფრო მიზანსწრაფული. იდეოლოგიური მუშაობის მთელ რიგ ნაცად ფორმებთან ერთად გაჩნდნენ ახალი ფორმები და მეთოდები. მომავალი ადამიანის აღზრდის სამსახურშია ჩაყენებული ისეთი იდეოლოგიური ძალები, როგორიც არის პროპაგანდა და აგიტაცია, ლიტერატურა და ხელოვნება, პრესა, რადიო, ტელევიზია, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები...

მაგრამ როგორც ეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე აღინიშნა, „იდეოლოგიური მუშაობის რა ახალი სიუჟალებანიც უნდა ჩადგეს მწყობრში, ვერაფერი ვერ შეცვლის პროპაგანდისტის, ლექტორისა და აგიტატორის ცოცხალ, გულწრფელ სიტყვას“.

ჩვენი რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა, რომლებიც პრაქტიკულად ახორციელებენ პლენუმის გადაწყვეტილებებს, მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს პროპაგანდისტული და საგაგიტაციო მუშაობის დონის შემდგომი ამაღლებისათვის. მისი ფორმებისა და მეთოდების სრულყოფისათვის, კომუნისტური მშენებლობის ამოცანების გადასაწყვეტად მშრომელთა მობილიზაციისა და აქტივობის განვითარებისათვის.

ყოველდღიურად სულ უფრო და უფრო მატულობს ცხოველი ინტერესი სკკპ ისტორიის, ჩვენი პარტიის პროგრამის, ეკონომიური თეორიის ღრმად შესწავლისადმი, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყოველმხრივი ანალიზისადმი. უფრო აქტიური და შემტევი გახდა მოწინავე გამოცდილების პროპაგანდა. ფართო პოპულარობა მოიპოვა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის ისეთმა ფორმებმა, როგორიც არის სახალხო უნივერსიტეტები. კომუნისტური შრომის სკოლები. ლექტორიუმები. საკმარისია ითქვას, რომ ჩვენს რესპუბლიკაში გასულ სასწავლო წელს მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებს სწავლობდა 400 ათასზე მეტი კომუნისტი და უპარტიო. ათასობით აგიტატორი დიდ და ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ფაბრიკებსა და ქარხნებში. ახალ-მშენებლობებზე. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, კულტურულ, სავაჭრო და სხვა დაწესებულებებში, მოსახლეობის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში ცოტა როდი არიან ისეთი პროპაგანდისტები. ლექტორები. აგიტატორები. რომელთა მოღვაწეობას დიდი ეკონომიური და პოლიტიკური ეფექტი მოსდევს. ფაქტები მეტყველებენ. რომ იქ, სადაც პარტიული ორგანიზაციები მუდმივი ყურადღებითა და ზრუნვით ეკიდებიან ადამიანთა შორის პროპაგანდისტულ და მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას, შედეგებიც სახარბიელო და სახიხარულოა.

სწორედ კარგად მოწყობილმა აღმზრდელობითმა მუშაობამ, რის კარგი გამოცდილებაც შეიძინეს თბილისის, რუსთავის, ჭიათურის, მახარაძის, ზუგდიდის, გურჯაანის, წყალტუბოს და სხვა ქალაქებისა და სოფლების პარტიულმა ორგანიზაციებმა, განსაპირობა მშრომელთა მაღალი შეგნებულობის დონე.

ზუგდიდის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის პლენუმმა, რომელმაც ამ დღეებში შეაჯამა სამმართველოს პარტიული ორგანიზაციის ღონისძიებები სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადწყვეტილებათა შესასრულებლად, აღნიშნა, რომ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მიდწეული წარმატებები ჩაის ფრონტზე, აგრეთვე სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების დარგში სწორედ მშრომელთა შეგნებულობისა და აქტივობის ამაღლების შედეგია.

ამ ცოტა ხნის წინათ გაიმართა შემაჯამებელი მეცადინეობები პარტიული განათლების კსსლში. მეცადინეობებმა ცხადყო, თუ როგორ გაიზარდა მშრომელთა ინტერესი მარქსისტულ-ლენინური თეორიის შესწავლისადმი, ეკონომიური ცოდნის მიღებისადმი. მეტი წილი პოლიტსკოლების, პოლიტფრეებისა და სემინარების მუშაობამ გვიჩვენა, რომ თვითეული მეცადინეობა და საუბარი ახლა უფრო მჭიდროდ არის დაკავშირებული ცხოვრებასთან, წარმოებასთან, მიმართულია ახალი ადამიანის აღზრდის ამოცანის გადაწყვეტასთან.

საყოველთაო ჭეშმარიტებაა, რომ პროპაგანდისტულ და საგაგიტაციო მუშაობაში ცენტრალური ფიგურა პროპაგანდისტი და აგიტატორია. ამიტომ პარტიულ ორგანიზაციებს მართებთ განსაკუთრებული მზრუნველობითა და დახმარებით მოიცვან ისინი, მეტი უურადღება დაუთმონ მათ შერჩევასა და დოსტატებას. რესპუბლიკაში ნაყოფიერად მუშაობენ პროპაგანდისტთა და აგიტატორთა დახელოვნების კურსები. ხშირად ეწყობა პროპაგანდისტთა გადამზადება, იმართება აგიტატორთა მეთოდური კონფერენციები. მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ამ მხრივ ყველაფერი რიგზე გვაქვს.

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არის შემთხვევები, როცა პარტიული ორგანიზაციები გულმოდგინეენ არ ეკიდებიან პროპაგანდისტებს, ლექტორ-მომხსენებლებს, აგიტატორების შერჩევას, არ ითვალისწინებენ მათს საქმიან და პოლიტიკურ თვისებებს. ამ მხრივ სერიოზული ნაკლოვანებანი იყო ყვარლის საწარმოო სამმართველოს, ელექტროენერგეტიკის სახელობის, გეგეჭკორის საწარმოო სამმართველოს ონოლიის, ქოლონნის და სხვა კომეურნეობებში.

პარტიული კომიტეტები მოვალენი არიან ეიტე უურადღება დაუთმონ პროპაგანდისტული და საგაგიტაციო მუშაობის მდგომარეობას თვითეულ პირველად პარტიულ ორგანიზაციაში. ზოგჯერ კი ხდება ასე. პარტიული კომიტეტის მუშაკი მივა საწარმოში ან კოლმეურნეობაში, დაინტერესდება სამეურნეო მდგომარეობით, ხოლო გაკვრითაც არ გაიხსენებს, თუ რა ნოწილზე დგას იქ აღმზრდელობითი მუშაობა. საინტერესოა, სხვა რა უფრო დიდი საქმეებით არის გადატვირთული გუდაუთის საწარმოო სამმართველო პარტიულთა საწარმოო სამმართველოს ინსტრუქტორი ნ. ლეიბა, ეს ბოლოდროინდელ ფაქტებიც. ეს ბოლოდროინდელ ფაქტებიც. ეს ბოლოდროინდელ ფაქტებიც.

გამოვანრთოთ ჩვენი იდეური იარაღი

... პარტიის იდეოლოგიური ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის საჭიროა გავაუმჯობესოთ მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდის — მთელი იდეოლოგიური მუშაობის გადამწყვეტი რგოლის ორგანიზაცია, ავამაღლოთ მისი იდეური დონე და სრულვყოთ მასების პოლიტიკური განათლების ფორმები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის კლენუმის დადგენილებიდან.

ინტერნაციონალური აღზრდის სათავეში

ახალციხის რაიონი ერთა მეგობრობის ცოცხალი მაგალითია. კომუნიზმის დიადი ამოცანების განხორციელებისათვის აქ მხარდამხარ შრომობენ ათზე მეტი ეროვნების წარმომადგენელნი. კომუნისტური მშენებლობის დიდებულმა იდეალებმა, პარტიულ-პოლიტიკური და პროპაგანდისტული მუშაობის ცხოვრებასთან მჭიდროდ დაკავშირებამ შექმნა იმის პირობა, რომ ჩვენი ქვეყნის ერთიანი ძმური ოჯახის წარმომადგენლებმა იცხოვრონ და იშრომონ მეგობრულად.

განსაკუთრებით უკანასკნელი წლები როგორც მთელ საბჭოთა ქვეყანაში, ისე ჩვენს საწარმოო სამმართველოშიც დიდი შრომითი და პოლიტიკური აქტივობით გამოირჩევა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის, დეკემბრისა და თებერვლის პლენუმების გადაწყვეტილებებმა ახალი შინაარსი მისცეს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებას. საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ახალი ძალით გაჩაღდა შრომა სიუხვისა და ბარაქისათვის; წარმატებები სრულდება ნაკისრი ვალდებულებები. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის ნახევარი წლის გეგმები კარგა ხანია ვადაზე ადრე შესრულეს.

წარმატებებია მიღწეული მარცვლეულის წარმოების ფრონტზეც. ამ საქმეში დაწინაურდნენ ვალის, გორგიწმინდის, სხვილისის, რუსთავის და სხვა სოფლების კოლმეურნეობები. სწრაფი ტემპით გაიშალა სილოსის ჩადებისა და თივის დამზადების სამუშაოები.

ეს და სხვა წარმატებები შედეგია იმისა, რომ ამაღლდა შრომელთა შეგნებულობის დონე, ისინი უფრო გულმოდგინედ ეკიდებიან საზოგადოებრივ საქმეს. სწორედ ადამიანებთან შემოქმედებითმა მოღვაწეობამ კარგი შედეგი გამოიღო იმტომ, რომ იდეოლოგიურ და მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას ეწევიან მომზადებული კადრები. მშრომელთა მობილიზაციის საქმეში დიდი დახმარება გაგვიწია აგრეთვე პოლიტიკური განათლების ქსელმა. მარტო გასულ სასწავლო წელს პარტიული განათლების სისტემაში რაიონის მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეს ემსახურებოდა 218 პროპაგანდისტი, 73 კონსულტანტი, სომხურ ენაზე მუშაობდა 38 პოლიტსკოლა, წრე და სემინარი. პარტიის მართალი სიტყვა თვითეული მშრომელამდე დროულად მიაქვს ათასობრივამდე აგიტატორს.

ინტერნაციონალური აღზრდა — ჩვენი მოღვაწეობის ერთ-ერთი მთავარი უბანია. პარტიულმა კომიტეტმა მრავალი ღონისძიება განახორციელა რაიონში მცხოვრები სხვადასხვა ერის წარმომადგენელთა უფრო დაახლოებისათვის, მათი შემოქმედებითი ენერგიის ერთიანი მიზნისაკენ წარმართვისათვის.

მშრომელთა შორის სოციალისტური ინტერნაციონალიზმის იდეების გაღრმავებას ითვალისწინებდა პარტიული კომიტეტი, როცა მხარი დაუჭირა სომეხი და ქართველი კოლმეურნეების სურვილს, რომ ერთად, მეგობრულად ეშრომათ. ქართული სოფლები: ივლიტა, ადი, მინაგე და სომხური სოფლები სხვილისი, საძელისი და ჯაჯარაქი გაერთიანდნენ ერთ კოლმეურნეობებში. შედეგიც კარგია. თუ წინათ აღნიშნულ სოფლებში დაგვიანებით სრულდებოდა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები, ახლა მათ უკვე პირველ წარმატებებს მიაღწიეს. ამ სოფლების იდეოლოგიური დარგის მუშაკები, პარტიული ორგანიზაციები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ განამტკიცონ მოსახლეობაში ურთიერთგაგება და მეგობრობა.

შრომელთა დიდი ინტერესი გამოიწვია ისეთი პრაქტიკული ღონისძიების მოწყობამ, როგორიც არის ეკონომიური კონფერენციები. პოლიტიკური მუშაობის ამ ფორმამ დიდად შეუწყო ხელი პატრიოტული და ინტერნაციონალური გრძნობების განვითარებას, ძმობისა და მეგობრობის განმტკიცებას. შარშან აწყურის მერძევეობა-მეხილეობის საცდელ-საჩვენებელ საბჭოთა მეურნეობაში ჩავატარეთ ეკონომიური კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საწარმოო სამმართველოს ყველა საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელებმა, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, ბრიგადირებმა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა. მოწინავე მუშებმა, ლექტორებმა, პროპაგანდისტებმა და აგიტატორებმა. ეკონომიური კონფერენცია, რომელიც ამ მოწინავე მეურნეობაში ჩატარდა, მიზნად ისახავდა მოწინავეთა გამოცდილების გავრცელებას და ჩვენი რაიონის მშრომელთა მეზნების უფრო დაახლოებას.

ეკონომიური კონფერენციები გაიმართა აგრეთვე პატარა პამჯისა და ვალეს კოლმეურნეობებში.

სოფელ ვალეს მახარაძის სახელობის საკოლმეურნეო პარტორგანიზაციის ინიციატივით კოლმეურნეობამ შეფობა იკისრა ეკონომიურად სუსტი სოფლის — აბათხევის კოლმეურნეობაზე. პარტიულმა კომიტეტმა ვალელთა ეს პატრიოტული თაოსნობა მოიწონა და მხარი დაუჭირა. მოეწყო ვალელთა შეხვედრა აბათხევის მოსახლეობასთან.

ახლა მთელი იდეოლოგიური, ორგანიზატორული და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა გადატანილია მინდვრად, ფერმებში, ვენახებში, ბაღებში, იქ, სადაც უშუალოდ წყდება უხვი მოსავლისა და მეცხოველეობის მაღალი პროდუქტიულობის ბედი, იკითხება ლექციები, იმართება საუბრები, მეგობრობის საღამოები. წელს მარტო მეგობრობისა და ინტერნაციონალიზმის საკითხებზე წაკითხულია 20-ზე მეტი ლექცია. წყალობილის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგემ, იდეოლოგიური განყოფილების შტატგარეშე ინსტრუქტორმა ვანიკ აკოფიანმა ამას წინათ სოფელ წყალთბილაში გამართულ მეგობრობის საღამოზე წაკითხა მოხსენება თემაზე: „ოვანეს თუმანიანი ქართველი და სომეხი ხალხების მეგობრობის შესახებ.“ რაიონში ფართოდ აღინიშნა აგრეთვე საიათნოვას დაბადების 250 წლისთავი.

სომხური სოფლის საძელისის კოლმეურნეობის აჯალგაზრდებმა მოაწყეს შეხვედრა ქართული სოფლის აბის კოლმეურნეობის ახალგაზრდებთან. შეხვედრაზე მოხსენებით „ვიშრომოთ მეგობრულად“ გამოვიდა საძელისის კოლმეურნეობის აგიტკოლექტივის ხელმძღვანელი გეორგ გეორგიანი.

საზოგადოება „ცოდნის“ ახალციხის რაიონულმა განყოფილებამ ფართოდ გაშალა მუშაობა ხალხთა შორის მეგობრობის განსამტკიცებლად. ბევრი პრაქტიკული ღონისძიება სპეციალურად განიხილა „ცოდნის“ რესპუბლიკურმა გაგეთობამ და განაზოგადა ახალციხელთა მუშაობის გამოცდილება.

ჩვენი მრავალეროვანი ინტელიგენცია, აგიტატორები, პროპაგანდისტები რაიონის მშრომელებს რეგულარულად აცნობენ მოძმე რესპუბლიკების — საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მშრომელთა წარმატებებს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის საქმეში. კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ფართო ქსელი დიდად უწყობს ხელს ხალხთა ინტერნაციონალურ აღზრდას.

ხალხთა ისტორიულ მეგობრობაზე აქ რეგულარულად იმართება საუბრები სხვადასხვა ენაზე, ეწყობა გამოფენები. ბიბლიოთეკებში მოეწყო გამოფენა საიათნოვას დაბადებიდან 250 წლისთავთან დაკავშირებით. ამას წინათ სხვადასხვა ერის წარმომადგენელთა აქტიური მონაწილეობით აქ ჩატარდა მკითხველთა კონფერენცია ფილმზე: „სომეხი და ქართველი ხალხის მეგობრობა“.

პარტიული კომიტეტის ინიციატივით ქალაქში მოეწყო სპეციალური სტენდი — „შრომაში იწროობა მეგობრობა“, სადაც წარმოდგენილია ჩვენს რაიონში მცხოვრები ყველა ეროვნების მოწინავე ადამიანთა ფოტოსურათები.

საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით მშრომელთა აღზრდის ერთ-ერთი ყველაზე ქმედითი ფორმაა სოციალისტური შეჯიბრება, რადგან სოციალისტური შეჯიბრების პროცესში ადამიანები უკეთ ეცნობიან ერთმანეთის გამოცდილებას, ამყარებენ ურთიერთგაგებას, ეუფლებიან კომუნისტური შრომის ახალ ფორმებსა და მეთოდებს.

ახალციხის საწარმოო სამმართველოს მშრომელები აღფრთოვანებით შეხვდნენ უკრაინის სსრ ნიკოლაევის ოლქის ნოვიბუგის საწარმოო სამმართველოს მშრომელთა წინადადებას მათთან სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმის შესახებ. უკრაინელები რამდენიმე დღეს იყვნენ ჩვენთან, გულდასმით გაეცნენ აქაურ მშრომელთა ცხოვრებასა და შრომითს საქმიანობას. რაიონის მშრომელები სოციალისტურ შეჯიბრებაში იღებენ ჩაბმული ადგილი მოძმე სომხეთის ანის საწარმოო სამმართველოს მშრომელებთან.

ქართველი ხალხისა და სომეხი ხალხის მეგობრობას მიეძღვნა სომხეთის ხელოვნების ოსტატთა გამოფენა, რომელიც სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკის სახელმწიფო გალერეიან მოაწყო ახალციხეში. გამოფენას დიდი ინტერესით გაეცნენ რაიონის მშრომელები.

მაგრამ მშრომელთა კომუნისტური და ინტერნაციონალური სულისკვეთებით აღზრდის საქმეში საჭიროა მეტის გაკეთება. საჭიროა ადამიანთა ერთ ნაწილში აღმოფხვრათ წარსულის შემორჩენილი გადმონაშთები. ამ კეთილშობილური მოვალეობის შესრულებაში დიდი წვლილი უნდა შეიტანოს ახალციხის საწარმოო სამმართველოს კომკავშირის კომიტეტის ლექტორთა ჯგუფმაც.

ახალციხის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტი იბრძოლებს იმისათვის, რომ ყოველდღიურად განამტკიცოს და გამოაწრთოს ხალხთა შორის ურღვევი მეგობრობა.

ა. მექვაბიშვილი,

ახალციხის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანი მოადგილე.

ასე ვსწავლობთ, ასე ვმუშაობთ

პროპაგანდისტის ფიქრები

□

მალე დაიწყება ახალი სასწავლო წელი პოლიტიკური განათლების სისტემაში. ჩვენ, პროპაგანდისტები, სულ უფრო მეტად ვნდა ჩავუფიქრდეთ იმ ახალ მოთხოვნებს, რომლებსაც ჩვენი სინამდვილე, თვით ცხოვრება უყენებს იდეოლოგიური ფრონტის თვითეულ მუშაკს.

პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი ლენინურად ზრუნავს მშრომელთა კომუნისტური აღზრდისათვის, მასში იდეური დონისა და შემოქმედებითი აქტივობის ამაღლებისათვის. ჯერ კიდევ არასოდეს არ წამოუჭრია პარტიის წინაშე იდეოლოგიურ დარგში თავისი მასშტაბით ისე ეგრცელი და შინაარსით ისე ღრმა ამოცანები, როგორიც ახლა, გაშლილი კომუნისტური მშენებლობის პერიოდში.

ვის, თუ არა, პირველ რიგში, პროპაგანდისტს მოეთხოვება ამ ახალი ამოცანების სრული გაგება, იმის უნარი, რომ შემოქმედებითად, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან მჭიდრო კავშირში, ასწავლიდეს მარქსისტულ-ლენინური თეორიას, აიარაღებდეს მასებს შრომაში ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად.

ჩვენთან, ქუთაისის სალოკომოტივო დეპოში, ასზე მეტი კომუნისტი და უკაცრიო აქტივისტი პოლიტიკური განათლების სისტემაში სწავლობს, ხოლო თითქმის ამდენივე — სხვადასხვა უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში.

როგორც სამეურნეო ხელმძღვანელებს, დეპოს უფროსს, ბარშან წარმოების ეკონომიკის შემსწავლელი სემინარის ხელმძღვანელობა მომანდეს. სემინარში ძირითადად მეშინაენელები, დეპოს მორიგეები, ინჟინრები და ტექნიკოები არიან გაერთიანებულნი. მნიშვნელოვანწილად ეს ადამიანები წყვეტენ მთელი კოლექტივის სამეურნეო წარმატებას. ამიტომაც, ბუნებრივია, ყოველი გზით გცდილობდი სემინარის მეცადინეობა დაეკავშირებინა პრაქტიკისათვის, რათა მიეღებული ცოდნა დახმარებოდა სემინარის წევრებს პრაქტიკულ მუშაობაში, ხელი შეეწყო კომუნისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის, კომუნისტური მორალის პრინციპების დანერგვისათვის.

ყველა თემის შესწავლას ორგახულად ვუკავშირებდი იმ სამეურნეო ამოცანების პრაქტიკულად გადაჭრას, რაც ჩვეხი კოლექტივის, წინაშეა დასახული.

მოვიყვან ერთ მაგალითს. თემის „საძრეწველო საწარმოთა საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის დაგეგმვა“ შესწავლისას მსმენელებს განეუმარტე რკინიგზის ტრანსპორტის საწარმოების, კერძოდ, დეპოს სამეურნეო საქმიანობის დაგეგმვის თავისებურებანი, ის, რომ ჩვენი გეგმები გამოხატულებას პოულობს ტონა-კილომეტრებში, და დაგეგმვა ხდება იმ სამრეწველო საწარმოებისა და სახელოო მეურნეობის სხვა დარგების მიერ პროდუქციის გამოშვების კვალობაზე, რომლებსაც დეპო ემსახურება.

ცნობილია, რომ ტყიბულის ქვანახშირის ტრესტის მიერ მოპოვებული მთელი სათბობი ქუთაისამდე ჩვენი დეპოს კოლექტივმა უნდა გადაზიდოს და ეს გათვალისწინებულია ჩვენს გეგმაში.

მაგრამ დეპოს საგეგმო დავალებები მარტოოდენ ტვირთზიდვით როდი განისაზღვრება. ჩვენთან საწარმოო პროგრამის კიდევ სამი ძირითადი მაჩვენებელია — მგზავრთა გადაყვანა მოტორვაგონიანი სექციებით, მგზავრთა გადაყვანა სახელო მატარებლებით და სამანევრო მუშაობა.

საწარმოო პროგრამის ამ ოთხ ძირითად მაჩვენებელზე საუბარს თან დავურთავ თვალსაჩინოება. მსმენელთა მონაწილეობით შეეადგინეთ დაგეგმვის სტრუქტურისა და მაჩვენებლების სქემები, აგრეთვე დიაგრამები 1953 წლიდან მოკიდებული დეპოს საგეგმო მაჩვენებლებსა დამთს შესრულებაზე.

დიაგრამამ უჩვენა ჩვენი წინსვლის ეტაპები — 1953 წელთან შედარებით საწარმოო პროგრამა ერთიორად გადიდდა, და მაშინდელი 190 მილიონის ხაცვლად მიმდინარე 1964 წელს იგი 360 მილიონ ტონა-კილომეტრს შეადგენს.

ამ გეგმების რეალობა ცოცხალი ადამიანებია. და სემინარის მსმენელებმა ცოტა ეჭვის უკან თავიანთი თავი დაინახეს, ამასთან ბევრი საგულისხმო წინადადება წამოაყენეს მძიმეწონიან შემადგენლობათა გაზიდისათვის, მატარებელთა უსაშიშრო მოძრაობის, ვაგონების მოცდენის შემცირების, მოძჭირნეობის რეჟიმის მტკიცედ დანერგვისა და რენტაბელობის გადიდებისათვის.

ახლა სემინარის თვითეულმა მსმენელმა კარგად იცის როგორც გეგმის შედგენის პრინციპები, ისე მისი შესრულების კონკრეტული გზები. და არა მარტო იცის, თავისი პროექტიული საქმიანობით გვიჩვენებს ნრომის საუკეთესო მაგალითებსაც.

სემინარის მსმენელებმა, მძიმეწონოსანმა მემანქანეებმა მ. ბანძელაძემ, ი. გოგოხიამ, გ. მიქელაძემ, ა. სანიკიძემ მიძღინარე წლის გაბვილ პერიოდში ათასობით ტონა ზეგეგმითი ტვირთი გადაზიდეს. ქუთაისის ლოკომოტივის ქარხნიდან. ამავე დროს კი არ ვიცნობთ ჩვენთან უშუალო კავშირში მყოფ მეშახტეთა და ქიმიკოსთა შრომას, ცხოვრებას, არ ვიცით, როგორ ქმნიან ისინი ამ სახლეხო დოვლათს, გათვალისწინებული მაქვს ახალ სასწავლო წელს მსმენელებისათვის რამდენიმე საწარმოო ხასიათის ექსკურსია შეინც მოვაწყო.

გასულ სასწავლო წელს, თუ მზედვლობაში არ მივიღებთ შემაჯამებელ თეორიულ კონფერენციას, ეკონომიური კონფერენცია არ მოგვიწყია. ახლა კი ორ ეკონომიურ კონფერენციას ვითვალისწინებ, ამასთან ისეთ აქტუალურ თემებზე, როგორიც არის „შრომის ნაყოფიერება და მისი ამაღლების გზები“, „თვითღირებულება, მისი შემცირებისა და რენტაბელობის გადიდების წყაროები“. ამ კონფერენციებზე ძირითად მომზსენებლად ვხედავ სემინარის მსმენელები გამოვლენ.

ვფიქრობ, სასწავლო წლის განმავლობაში სპეციალური თემატური კითხვა-პასუხის საღამო ჩავატარო, რომელშიც ღრმად გაუკეთდება ანალიზი საკუთარ სამეურნეო საქმიანობას, თუმცა ეს ღონისძიება მთელი საწარმოს მასშტაბით მოეწყობა.

გადაწყვეტილი მაქვს სემინარის ყოველ მეცადინეობაზე კიდევ უფრო ფართოდ გამოვიყენო რუკები, სქემები, დიაგრამები და სხვა თვალსაჩინოება.

მართალია, პირადად მე პროპაგანდისტების გადასამზადებელი რესპუბლიკური კურსებზე და პარტიის ქუთაისის ქალაქ-კომთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტი დავამთავრე, მაგრამ ეს ცოტაა. პროპაგანდისტმა ხომ ყოველდღიურად უნდა იმუშაოს იდეური დონის ამაღლებისათვის!

ეფიქრობ, გარდა პროპაგანდისტთა სემინარებისა, კარგი იქნება, თუ პერიოდულად მოეწყობა მეთოდური კონფერენციები, რაც დაგვეხმარება როგორც თეორიული დონის, ისე მეთოდური დახელოვნების ამაღლებაში.

რა თქმა უნდა, პროპაგანდისტობა ცოცხალი შემოქმედებითი საქმეა, და აქ მზამზარეული რეცეპტები, შტამპი და შაბლონი საქმეს მხოლოდ ვნებს.

დაე თვითეულმა ჩვენგანმა უნარიანად გამოიყენოს მართალი კომუნისტური სიტყვის ძალა, გამონახოს უფრო სწორი და მახლობელი გზა ადამიანის გულისა და გონებისაკენ. ეს არის მაღალი მოწოდება პროპაგანდისტისა, რომელსაც პარტიამ მშრომელთა კომუნისტური აღზრდა მიანდო.

ო. ფოცხორაია,

ქუთაისის სალოკომოტივო დეპოს უფროსი, წარმოების ეკონომიკის შემსწავლელი სემინარის ხელმძღვანელი.

ერთი დღე მაღალმთიან იალაღზე

მაღლა მთებში, ჯვრის უღელტეხილის მახლობლად გადაშლილა თვალწარმტაცი ალპური ველები. ეს დუშეთის საწარმოო სამმართველოს სოფელ მღვეთის საზაფხულო იალაღებია.

დღეს უჩვეულო დღეა კოლმეურნეობის მოწინავე ბრიგადის სადგომზე, რომელსაც გამოცდილი მეცხვარე ალექსი ჯაღმაიძე ხელმძღვანელობს.

აქ, საკოხის მთაზე, მეცხვარეებთან სტუმრად მოვიდა კოლმეურნეობის კომკავშირული აგიტბრიგადა, რომლის შემადგენლობაში შედიან სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის წევრები, სოფლის კლუბის მუშაკები, აგიტატორები.

ვიდრე ანსამბლის მონაწილენი საკონცერტოდ ემზადებოდნენ, იალაღებზე მყოფ მეცხვარეებსა და მოსულ სტუმრებს შორის გაცხოველებული საუბარი გაიმართა. აი ახალგაზრდა აგიტატორის დარიკო ბურდულის ირგვლივ შეიკრიბნენ დუშეთის რაიონის ცნობილი, ხანდაზმული მეცხვარეები — ძმები მიხა და შიო ნაზღაიძეები, ვანო სეთურიძე და სხვ.

აგიტატორმა უამბო მეცხვარეებს სოფლის ახალი ამბები, გააცნო მათ საერთაშორისო მდგომარეობის და ჩვენი ქვეყნის მნიშვნელოვანი მოვლენები, პასუხი გასცა მრავალ შეკითხვაზე, რომლითაც დაინტერესებული იყვნენ მწყემსები.

აგიტბრიგადასთან ერთად მწყემსებს ეწვია დუშეთის სასოფლო საწარმოო პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილე ვენერა შერგელაშვილი. მან მწყემსებთან ჩაატარა საინტერესო საუბარი თემაზე: „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ზრუნვა ხალხის კეთილდღეობაზე“.

— ჩვენთვის, ძველი მეცხვარეებისათვის, — თქვა საუბრის დასასრულს ცნობილმა მლეთელმა მწყემსმა შიო ნაზღაიძემ, — ახლახან მიღებულ კანონს კოლმეურნეობის წევრთა პენსიებისა და დახმარების შესახებ, განსაკუთრებულად დიდი მნიშვნელობა აქვს. გვახსოვს ძველი, რევოლუციამდელი დრო, როცა მწყემსებსა და მათს შრომას არავითარი ყურადღება არ ექცეოდა. ახლა კანონმა ერთხელ კიდევ დაამტკიცა, თუ როგორ მზრუნველობას იჩენენ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ჩვენი ხალხისადმი, და კერძოდ სოფლის მეურნეობის მშრომელებისადმი.

იალაღებზე ჩვენ გავიცანით მლეთის კოლმეურნეობის მოწინავე ბრიგადირი ალექსი ჯაღმაიძე, რომელმაც გვიამბო თავისი ბრიგადის შრომითი მიღწევების შესახებ.

— ჩემს ბრიგადას 11.000 ცხვარი ჰყავს. სახელმწიფოს უკვე ჩავაბარეთ 16 ტონა პირველხარისხოვანი მატყლი. თითო ცხვარზე მივიღეთ 2,5 კილოგრამი მატყლი. ეს ყველაზე საუკეთესო მაჩვენებელია დუშეთის საწარმოო სამმართველოში. ბრიგადას აღებული აქვს ვალდებულება წლის ბოლომდე თითო ცხვარზე მიიღოს 4 კილოგრამი მატყლი.

მთაში ბინდდება. ცხვრის ფარები ნელ-ნელა ეშვებიან ძირს, სადგომებისაკენ.

... საღამოს სიჩუმეში, საკოხის მთაზე გაისმის დოლისა და გარმონის ხმა. იწყება მლეთის კოლმეურნეობის თვითმოქმედი ანსამბლის წევრთა კონცერტი.

ბინდით მოცულ ალპურ საძოვრებზე დიდხანს გაისმის მხიარული სიმღერებისა და მუსიკის ხმა, ტაში და მწყემსების ხალისიანი შეძახილები...

ს. კილაძე.

სურათზე: კონცერტი სახოკის მთაზე.

ფოტო ავტორისა.

პარტიული ქრონიკა

კარგი ინიციატივა

დროული და მისაბაძი ინიციატივა გამოიჩინა პარტიული და სახელმწიფო კონტროლის ხელმძღვანელობა ჯგუფის ბიუროს ჭიათურაშენის სამმართველოში. ჯგუფის ბიუროს (ბიუროს თავმჯდომარე ვ. დოლიძე) მიმდინარე წლის ივლისში გამოუშვა კედლის გაზეთი „სახალხო კონტროლი“, რომელსაც რედაქტორობს ჯგუფის ბიუროს წევრი, კომპეტენტური ბრიგადის ბრიგადირი, კომუნისტი ნ. გიგიშვილი.

კედლის გაზეთი თავის მოწინავე წერილში — „სახალხო კონტროლი“ მკითხველებს აცნობს გაზეთის მიზნებსა და ამოცანებს. გაზეთის პირველ ნომერში მოთავსებულია სხვადასხვა საინტერესო წერილები: „უდარდელობის შედეგი“, „არ გებრალება?“, „ლირსული სასჯელი“, „კომუნიზმის მშენებელი ადამიანის მორალური კოდექსი“, „ხარისხი მთავარია“ და სხვ.

ამ წერილებში მოთხრობილია წარმოების საინტერესო საკითხებზე და ისინი მკითხველთა დიდ ინტერესს იწვევს.

მაღაროელმა სახალხო კონტროლიორებმა ამით კარგი საქმე გააკეთეს. მათი კედლის გაზეთი „სახალხო კონტროლი“ წარმოების სამეურნეო, პარტიულ, პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანიზაციებს და კონტროლის ჯგუფებს დაეხმარება წარმოებაში არსებულ ნაკლოვანებათა დროულად მხილებასა და უგამოსწორებაში.

ა. ლომაძე,

გაზეთ „ჭიათურის მაღაროელის“ რედაქციის თანამშრომელი.

მეთოდური კონფერენცია

პარტიის გორის საქალაქო კომიტეტმა გამართა აგიტატორების პირველი საქალაქო მეთოდური კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს აგიტატორებმა, აგიტკოლექტივების ხელმძღვანელებმა, მუდმივმოქმედი აგიტპუნქტების გამგეებმა, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებმა და საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილი პოლიტიკური განათლების კაბინეტის გამგეებმა.

მოხსენება „ქალაქის პირველადი პარტიული ორგანიზაციების ამოცანები საგიტაციო-მასობრივი მუშაობის გაუმჯობესების საქმეში“ წაიკითხა საქართველოს კპ გორის საქალაქო კომიტეტის ლექტორმა, საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილი პოლიტიკური განათლების კაბინეტის გამგემ ნ. ხომასურიძემ.

მოხსენების შემდეგ მოეწყო სექციური მუშაობა ორ ჯგუფად.

რ. სამადაშვილი,

საქართველოს კპ გორის საქალაქო კომიტეტის პოლიტიკური განათლების კაბინეტის ბიბლიოთეკარი.

„საქართველოს კომუნისტი“ № 8

გამოვიდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თეორიულ და პოლიტიკურ ჟურნალ **„საქართველოს კომუნისტის“** მორიგი, მერვე ნომერი.

ჟურნალში დაბეჭდილია: **მოწინავე** — ზუსტად დაიცვათ სკკპ წესდების მოთხოვნები პარტიის წევრის უფლება-მოვალეობათა შესახებ; ყველაფერი ადამიანისათვის, ადამიანის ბედნიერებისათვის; დებულება პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტების ხელმძღვანელობა და საგუშაგოების შესახებ; **შ. ბეზარაშვილი** — რესპუბლიკის დიდი ქმნის განვითარების ამოცანები; **ა. კულიკოვი** — კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი და პირადი ინტერესების შეხამების შესახებ; **ვ. კურცხალია** — გამომგონებლები და რაციონალიზატორები ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლაში; **ს. ბაქანიძე** — რომინელი ხალხის დიდი დღესასწაული.

ჟურნალში არის აგრეთვე განყოფილებები: „**რევოლუციური მოძრაობის ისტორიიდან**“, „**საერთაშორისო ცხოვრება**“, „**პარტიული ცხოვრება**“, „**წერილები და კორესპონდენციები**“, „**კრიტიკა და ბიბლიოგრაფია**“ და „**პარტიული ქრონიკა**“, სადაც გამოქვეყნებულია საინტერესო მასალები.

კრიტიკულ შენიშვნას შედეგი რომ მოჰყვეს...

ზესტაფონი. (საკ. კორ.). სარაიონთაშორისო გზეთ „ლენინელის“ კრიტიკულ შენიშვნებს ყველა ორგანიზაცია როდი ეხმაურებოდა გულისხმიერებით. ზესტაფონის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის ბიურომ ამ საკითხზე გასული წლის 11 დეკემბერს იმსჯელა და კონკრეტული ღონისძიებები დასახა.

ამას სასურველი შედეგი მოჰყვა, მაგრამ ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაკი მაინც ზერეულად ეკიდება გაზეთის სიგნალს, ჩქმალავს ნაკლოვანებებს, საქმიან ღონისძიებებს არ ატარებს მათ აღმოსაფხვრელად. უკანასკნელი წლინახევრის მანძილზე რედაქციას პასუხი არ მიუღია 65 წერილზე. აი დამახასიათებელი მაგალითი. 1963 წლის 16 ივნისს „ლენინელმა“ დაბეჭდა კრიტიკული შენიშვნა სოფელ რუფოთის კოლმეურნეობაზე. იგი იმავე დღეს ზომების მისაღებად გადაგზავნა კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ვ. დიაკონიძეს და პარტიული ორგანიზაციის მდივანს ო. მურადაშვილს. როცა მათ პასუხი დაგვიგიანეს, რედაქციამ შეხსენება გაგზავნა 2 თებერვალს და 18 ოქტომბერს, მაგრამ ამაოდ. რედაქციამ პასუხი ვერ მიიღო. კრიტიკულ შენიშვნებს ასეევე უპასუხისმგებლოდ მოეკიდნენ სოფლების დილიკურის, მარტოთუბნის, ბოსლევის, სოქთარის, კვახჭირის კოლმეურნეობათა ხელმძღვანელები.

პარტიული კომიტეტის ბიუროს ამ დღეებში განიხილა დადგენილების შესრულების შედეგები. ბიუროს მკაცრად გააფრთხილა აღნიშნულ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები ს. ოდიკაძე, ო. ტაბატაძე, ვ. დიაკონიძე და შ. რობაქიძე.

„ასე ვსწავლობთ, ასე ვმუშაობთ“

ინტერნაციონალური აღზრდის საქმეში

ეკონომიური კონფერენციები

ეკონომიური კონფერენციები

ეკონომიური კონფერენციები

აგიტატორის სიტყვის ფასი

დაგვიანებულმა გაზაფხულმა მნიშვნელოვნად შეაფერხა ჩაის ბუჩქების ვეგეტაცია. მაისის თბილმა, მზიანმა ამინდებმა კი ხელი შეუწყო მას. უცბად წამოვიდა ლორთქო დუყები. საჭირო გახდა მთელი მუშახელის მობილიზება, რომ დროულად მოგვეკრიფა შემოსული ფოთოლი.

პირველი დღეებიდანვე შეფერხდა შემოსული ფოთლის კრეფა კოლმეურნეობის მე-14 ბრიგადაში. მეჩაიეთა ერთი ნაწილი თავის დროზე არ გამოდიოდა ფოთლის საკრეფად. და აი ბრიგადაში ჯარასავით დატრიალდა აგიტატორი ალ. წითელაძე. იგი ესაუბრა კოლმეურნეებს, გააცნო საქმის ვითარება. საქმეს თანდათან გამოსწორება დაეტყო, და ახლა ბრიგადა ერთ-ერთი მოწინავეა კოლმეურნეობაში, მან პირველმა შეასრულა ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა და ვალდებულების ანგარიშში 10 ათასი კილოგრამი მოკრეფილი ფოთოლიც ჩაიწერა.

კოლმეურნეები მ. ზოიძე, ა. ცომაია, ა. გოგიტიძე კარგ ხანს თავს არიდებდნენ შრომას. მათთან მივიდა მოწინავე მეჩაიე, მერგოლური ასია ჩამბა, გაესაუბრა თან, მრავალი მაგალითით დაარწმუნა, რომ შრომა სახელისა და დიდების საქმეა. ზარმაცი კი მხოლოდ ზიზღს იწვევს მშრომელ ადამიანებში. აგიტატორს ბევრი საუბარი დასჭირდა, მრავალი თვალსაჩინოებაც გამოიყენა. ახლა მ. ზოიძე, ა. ცომაია და ა. გოგიტიძე სხვებთან ერთად ნაყოფიერად შრომობენ კოლმეურნეობაში.

კიდევ ბევრი სხვა მაგალითის მოყვანა შეიძლება ჩვენი აგიტატორების მუშაობის პრაქტიკიდან. საერთოდ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის შემდეგ ჩვენი კოლმეურნეობის პარტიულმა ორგანიზაციამ კიდევ უფრო გააუმჯობესა მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა, გაამდიდრა იგი ახალი ფორმებითა და მეთოდებით. ამ საქმეს 35 აგიტატორი ემსახურება. მათ უნარი შესწევთ გაიყოლიონ მასები, განაზოგადონ ნოვატორული შრომის ჩვენები, სიტყვითა და საქმით მშრომელებამდე დაიყვანონ ყოველივე მოწინავე, პროგრესული, რაც ხელს უწყობს საერთო წარმატებებს.

მოწინავე აგიტატორები ლ. მიქელაძე, შ. თურმანიძე, ჯ. დიასამიძე, ლ. ჩირაძე, ა. ჩამბა და სხვები სისტემატურად ესაუბრებიან კოლმეურნეებს პარტიის XXII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების ისტორიულ გადწყვეტილებებზე. ჩვენი ქვეყნის საშინაო და საერთაშორისო საკითხებზე, კოლმეურნეობის წინაშე მდგომ ამოცანებზე. მათ მიერ გამოშვებული საველე გაზეთები ყოველთვის მრავალფეროვანია და ასახავენ კოლმეურნეთა შინაარსიან შრომასა და ცხოვრებას.

თუმცა ასე როდი ითქმის ყველაზე. აგიტატორები ნ. ბაძგარაძე, მ. ზოიძე, ე. თურმანიძე იშვიათად თუ გიიხსენებენ თავიანთ საპატიო მოვალეობას. ისინი არ იცნობენ კოლმეურნეობის საწარმოო გეგმებს, ბრიგადის, რგოლის, ფერმის საქ

შეხვედრები გალაცში

გალაცი, 25 აგვისტო. საკდესის სპეციალური კორესპონდენტი ფ. ყარიოვი იუწყება:

დღეს საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციამ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ა. ი. მიქოიანის მეთაურობით იმოგზაურა გალაცის ოლქში. დელეგაციას ახლდნენ რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვეორგე აპოსტოლი და სხვა ოფიციალური პირები. საბჭოთა სტუმრებმა დაათვალიერეს გალაცის მეტალურგიული კომბინატის მშენებლობა. ახსნა-განმარტებას მათ აძლევდა მეტალურგიული მრეწველობის მინისტრი იონ მარინესკუ და მშენებლობის ხელმძღვანელები.

გალაცის კომბინატი შვიდწლედის ერთ-ერთი ძირითადი ახალმშენებლობაა: მშენებლობის დამთავრების შემდეგ კომბინატი აწარმოებს ოთხ მილიონ ტონა ფოლადს წელიწადში. დელეგაციის წევრები ეწვივნენ მოქმედ საარმატურო საამქროს, სასადილოსა და მთელ რიგ საამქროებს, რომლებიც აქ შენდება.

რუმინეთის მუშათა პარტიის გალაცის საოლქო კომიტეტის შენობაში არქიტექტორმა კიევ ოქტავიანმა საბჭოთა სტუმრებს მოუთხრო ქალაქის რეკონსტრუქციის შესახებ. შემდეგ დელეგაციის წევრებმა დაათვალიერეს ახალი საცხოვრებელი უბნები.

კომბინატის მუშები და გალაცის მცხოვრებლები გულთბილად მიეგებნენ საბჭოთა დელეგაციას.

ჩვენი პლანეტა ამ დღეებში

დაპატიმრებები ინდოეთში

ატლანტიკ-სიტის ყრილოგაზე

ატლანტიკ-სიტი, 26 აგვისტო, საკდესის სპეციალური კორესპონდენტი ე. ბ. იუწყება:

დემოკრატიული პარტიის ყრილობაზე დამთავრდა ბრძოლა უფლებისათვის წარმოადგინონ მისისიპის შტატი. სამანდატო კომისიის თავმჯდომარემ ლოურენსმა გუშინ გამოაცხადა: ხაგრძლივი ფარული მოლაპარაკების შედეგად მიღწეული კომპრომისული გადაწყვეტილება. მისისიპის „რეგულარული“ დელეგაციის წევრებს იმ შემთხვევაში აღიარებენ ყრილობის სრულუფლებიან დელეგატებად, თუ ისინი ხელს მოაწერენ ვალდებულებას, რომ არჩევნებში მხარს დაუჭერენ დემოკრატიული პარტიის კანდიდატს პრეზიდენტის პოსტზე („რეგულარული“ დელეგაციის წევრი რასისტები დემოკრატები არიან პარტიული კუთვნილების ხოლო, ალბერტენ ხმა მისცეს რესპუბლიკური პარტიის კანდიდატს პრეზიდენტის პოსტზე — გოლდუოტერს).

„მისისიპის თავისუფლების დემოკრატიული პარტიის „დელეგატები, რომლებიც იმ შტატის მოქალაქეობრივი უფლებებისათვის მებრძოლთა წარმომადგენლები არიან, მოწვეული არიან ყრილობაზე, როგორც საპატიო სტუმრები, ხოლო ამ პარტიის ორი ლიდერი ყრილობის სრულუფლებიანი დელეგატი.

მაგრამ ამ კომპრომისმა, რომელსაც მიაღწიეს იმის შედეგად, რომ ვაშინგტონიდან დიდი გავლენა მოახდინეს „მისისიპის თავისუფლების დემოკრატიულ პარტიაზე“, ვერ აღმოფხვრა კონფლიქტი. „რეგულარული“ დელეგაციის წევრებმა უარი თქვეს ხელი მოაწერონ „ერთგულების ვალდებულებაზე“. მათი ადგილები ყრილობის დარბაზში ცარიელია. აგრესიულად განწყობილი რასისტები იმუქრებიან, რომ ყრილობიდან წავლენ. დიასპორატთა ამბოხი გრძელდება.

„მისისიპის თავისუფლების დემოკრატიული პარტიის“ დელეგატებმა დაიკავეს ადგილები „კოლეჯნაწ ჰოლში“.

რ. კენედი სენატორობის კანდიდატია

ნიუ-იორკი, 25 აგვისტო. (საკდესი). დღეს ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის მინისტრმა რობერტ კენედიმ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ იგი დაასახელებს თავის კანდიდატურას ამერიკის შეერთებული შტატების სენატში ნიუ-იორკისაგან.

კენედის განცხადებას წინ უძღოდა რამდენიმე კვირის რთული საიდუმლო მოლაპარაკება იმ მიზნით, რათა წინასწარ შეეპირებინა, რომ მას დახმარებას გაუწევენ დემოკრატიული პარტიის ნიუ-იორკის ორგანიზაციის ბოსები და ნიუ-იორკის მერი ვაგნერი.

საზიზღარი დანაშაული

ბრაზავილი, 26 აგვისტო. (საკდესი). კონგოს განთავისუფლების ეროვნული საბჭო სასტიკად გმობს საზიზღარ დანაშაულს, რომელიც მოხდა ამერიკის იმპერიალიზმის აგრესიულ ძალთა აწყარა ჩარევის შედეგად კონგოს საქმეებში, სადაც განაღებულია ბრძოლა პატრიოტულ და რეაქციულ ძალებს შორის, ნათქვამია განთავისუფლების ეროვნული საბჭოს კომუნიკეში, რომელიც აქ გაავრცელეს.

კომუნიკეში აღნიშნულია, რომ ქალაქ ბუკავუსთვის ბრძოლებში კონგოს პატრიოტულ ძალთა წინააღმდეგ რომბემ გაგზავნა ამერიკული თვითმფრინავები „ბ-26“, „ს-47“, „ს-130“ და „ტ-28“. გამოიყენეს აგრეთვე ნაპალმის ბომბები. ბუკავუს უმწეო მოსახლეობაში ბევრია მსხვერპლი.

„რომბე ერის მოღალატე და პატრის ლუმუმბას ერთ-ერთი მთავარი ჭკვლელია“, — ნათქვამია კომუნიკეში. დასასრულ კომუნიკე მოუწოდებს აფრიკის, აზიისა და მსოფლიოს ყველა ქვეყნისას გადაჭრით დაგმონ „ბელგია-ამერიკის კოალიციის მიერ კონგოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს სუვერენიტეტის“ უხეში დარღვევა.

გაზრდა დამასკოში

დამასკო, 24 აგვისტო. (საკდესი). აქ გაიხსნა მე-11 საერთაშორისო ბაზრობა. ბაზრობაში მონაწილეობს 19 სახელმწიფო, მათ შორის საბჭოთა კავშირი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკა, პოლონეთი, ბულგარეთი და იუგოსლავია.

სამხრეთ ვიეტნამის ამბების გამო

სამხრეთ-ვიეტნამი დიქტატორმა გენერალმა ზხანმა, შეეშინდა რა მასობრივი დემონსტრაციებისა იმის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, რომ მის ხელში თავი მოიყარა მთელმა საკანონმდებლო და აღმასრულებელმა ხელისუფლებამ, დღეს საწრაფოდ გამოაცხადა, რომ იგი ტოვებს პრეზიდენტის პოსტს და რჩება მხოლოდ პრემიერ-მინისტრის პოსტზე. მაგრამ ამან არ დაამშვიდა სახალხო მღელვარება. ამ მღელვარებამ ყველაზე ძლიერი გაქანება პოვა დანანგში — ქალაქში, რომელიც მდებარობს 600 კილომეტრზე საიგონის ჩრდილოეთით. ამ ქალაქში მოხდა შეტაკება ბუდისტებსა და იქ დაბინავებულ ჯარებს შორის, რომელთა ბიჭებს ეყრდნობა მარონეტული რეჟიმი. არის დახოცილები და დაჭრილები.

როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნაციონალის საააგენტო იუწყება, ამერიკის სარდლობის წარმომადგენელმა საიგონში დაადასტურა, რომ დანანგში პირველმა სროლა ატეხეს ამერიკელებმა, „რომლებმაც შეარყიეს დემონსტრანტთა რიგები“.

დანანგში სასწრაფოდ გზავნიან არმიის ნაწილებს.

ფერი ფერს, მადლი ღმერთს

ნიუ-იორკი, 26 აგვისტო. (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის საააგენტო საიგონიდან იუწყება, სამხრეთ ვიეტნამის „რევოლუციურმა საბჭომ“ თავის სხდომაზე ვერ მოახერხა დაენიშნა ახალი პრეზიდენტი. საააგენტო იუწყება აგრეთვე, რომ ამ პოსტს კვლავ იჩემებდა თვითონ ქნანი, გენერალ-მაიორი ზონგ ვან მინი და ქნანის მთავრობის თავდაცვის მინისტრი ჩან თხიენ ქნიემი.

თანამგზავრის გაშვება

ნიუ-იორკი, 25 აგვისტო. (საკდესი). დღეს სამხედრო-საჰაერო ბაზა ვანდენბერგიდან (კალიფორნიის შტატი) განხორციელდა დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის „ტოპსის“ გაშვება. თანამგზავრის წონაა 44 კილოგრამი.

როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის კორესპონდენტი იტყობინება, „ტოპსი“ უნდა გავიდეს მაღლივ ორბიტაზე, რომელიც უახლოვდება პოლარულს რათა შეკრიბოს და დედამიწაზე გადმოსცეს ინფორმაცია იონოსფერის სტრუქტურის შესახებ.

საპროტესტო დემონსტრაცია

ლონდონი, 25 აგვისტო. (საკდესი). როგორც რეიტერის საააგენტო დელიდან იუწყება, გუშინ, 24 აგვისტოს, ინდოეთის კომუნისტურმა პარტიამ მთელ ინდოეთში დაიწყო მოქალაქეთა დაუმორჩილებლობის ხუთი დღის კამპანია, იმის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, რომ ინდოეთში ძმინე სასურსათო მდგომარეობაა და სულ უფრო მატულობს კვების პროდუქტების ფასი. კამპანიის მიზანია მთავრობას განახორციელებინოს სასწრაფო ღონისძიებანი სასურსათო პრობლემის გადასაჭრელად, რაც ლახავს მილიონობით ხალხის მასების ინტერესებს.

ამ კამპანიის დაწყების გამო, როგორც რეიტერის საააგენტო იუწყება, ინდოეთის სხვადასხვა ნაწილში მაშინვე დაიპატიმრეს 500-ზე მეტი კომუნისტი, დაახლოებით 200 კაცი პოლიციელებმა დააკავეს ღამე ჩხრეკა-დაპატიმრების დროს სამხრეთ ინდოეთის ქალაქებში.

როგორც რეიტერის საააგენტო იუწყება, მთელ ინდოეთში დაპატიმრებულია ორი ათასზე მეტი კომუნისტი, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ მოქალაქეთა დაუმორჩილებლობის კამპანიაში.

აფრიკა შეშფოთებულია

ადის-აბება, 25 აგვისტო. (საკდესი). გუშინ ალეარმა მოუწოდა, რომ რაც შეიძლება სწრაფად მოიწვიონ აფრიკის ერთობის ორგანიზაციის მინისტრების საბჭოს სესია, რათა გაანიხილოს კონგოში შექმნილი მდგომარეობა და განახორციელოს ღონისძიებანი, რომლებიც გამორიცხავენ იმ მოქმედებას, რომელიც ეწინააღმდეგება მშვიდობასა და უშიშროებას აფრიკის ამ ნაწილში. ორი დღით ადრე ანალოგიური წერილი გაუგზავნა აფრიკის ერთობის ორგანიზაციის გენერალურ მდივანს დიალო ტელის ძალის პრეზიდენტმა მოდიბო კეიტამ. ამის გამო გაკეთებულ განცხადებაში აფრიკის ერთობის ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა აღნიშნა, რომ გაუგზავნა აფრიკის ერთობის ორგანიზაციის ყველა წევრ ქვეყანას წერილები, რათა გამოარკვიოს მათი თვალსაზრისი ამ საკითხზე.

ამასთან მან აღნიშნა, რომ „აფრიკის ერთობის ორგანიზაციის მინისტრების საბჭოს საგანგებო სესია მოწვეული იქნება იმისთვის, რომ აფრიკის არც ერთმა ქვეყანამ არ დაიწყოს ცალმხრივი მოქმედება კონგოში“. „მარტო აფრიკის ერთობის ორგანიზაციას შეუძლია გადაწყვიტოს აფრიკის მთელი კონტინენტის პრობლემები“, — განაცხადა მან.

ჯაკიზი, 25 აგვისტო. (საკდესი). ჩომბეს იმედი არა აქვს, რომ აფრიკის ერთობის ორგანიზაცია დაეხმარება მას ომში კონგოელ პატრიოტთა წინააღმდეგ, რომლის სანქცია მან ოკეანეს გაღმიდან მიიღო. აფრიკის ერთობის ორგანიზაციამ უკვე გამოხატა თავისი დამოკიდებულება ნეოკოლონიზატორთა ამ დაქირავებული აგენტისადმი იმით, რომ არ დაუშვა თავის კაბროს კონფერენციაზე. მაგრამ ჩომბე ცდილობს რადაც უნდა დაუჯდეს ხიმა ოშვნოს იმპერიალისტურ სახელმწიფოთა სულ უფრო მზარდი ჩარევისათვის კონგოს საშინაო საქმეებში, და გადაწყვიტა დახმარება სთხოვოს ევროთანამშრომლობელ ერების ორგანიზაციას.

როგორც ფრანს პრესის საააგენტოს კორესპონდენტი ნიუ-იორკიდან იტყობინება, ჩომბემ სთხოვა ევროთანამშრომლობელ ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს უ ტანს დაეხმაროს აჯანყებულთა მოძრაობის ჩახშობაში, რომელიც მთელს კონგოში გავრცელდა. უ ტანმა ევროთანამშრომლობელ ერების ორგანიზაციის ყველა წევრი ქვეყნის დელეგაციებს გააცნო ჩომბეს წერილის შინაარსი. მაგრამ ჯერ არაფერი არ არის ცნობილი იმის შესახებ, თუ რა უპასუხა ჩომბეს ევროთანამშრომლობელ ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა.

შეთქმულება კვიპროსის წინააღმდეგ

ლონდონი, 24 აგვისტო. საკდესის კორესპონდენტი ს. ივანოვი იტყობინება:

მისწრაფება, რომ კვიპროსს წაართვან დამოუკიდებლობა, კვიპროსის საკითხის ეგრეთწოდებული „შვიდმობიანი მოწესრიგების“ ყველა გეგმის საფუძველია, რომლებსაც ნატოს ქვეყნების დედაქალაქებში ამუშავებენ. იმპერიალისტთა ზრახვების მეორე დამახასიათებელი ნიშანია კვიპროსელი ხალხის ნება-სურვილისა და მისწრაფებების სრული უგულებელყოფა.

პრემიერ-მინისტრმა დუგლას-ჰიუმმა 22 აგვისტოს აბერფელდინში წარმოთქმულ სიტყვაში მკაფიოდ განაცხადა: ინგლისის მთავრობას უკანასკნელი როლი რიდი ეკუთვნის ენოზისის გეგმების შემუშავებაში, ე. ი. რომ კვიპროსს წაერთვას დამოუკიდებლობა მისი საბერძნეთთან შეერთების გზით, ისე, რომ მხედველობაში არ მიიღონ კვიპროსელი ხალხის აზრი. გაზეთ „ტაიმსის“ დღევანდელი სარედაქციო სტატია ამ მხრივ სათქმელს ბოლომდე ამბობს.

„ტაიმსის“ აზრით, დასავლეთის ქვეყნებისათვის კვიპროსის საკითხის ერთადერთი მისაღები გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ „აჩესონის გეგმის“ საფუძველზე, რომელიც, როგორც გაზეთი განმარტავს, ითვალისწინებს კვიპროსის შეერთებას საბერძნეთთან. თურქეთის კომპესაციას და კვიპროსელი თურქების უშიშროების სამხედრო უზრუნველყოფას ნატოს ბაზის (კვიპროსში — საკდესის შენიშვნა) შექმნის გზით.

ეს გეგმა ნატოს სახელმწიფოებს განზრახული აქვთ კვიპროსის მთავრობას თავს მოაბეზრონ „ვიწრო“ კონფერენციაზე, რომლის აუცილებელი მონაწილეები უნდა იყვნენ ინგლისი, თურქეთი და საბერძნეთი (როგორც ოლონდონის 1960 წლის მოძველებული ხელშეკრულების გარანტი ქვეყნები), აგრეთვე... ამერიკის შეერთებული შტატები. „ტაიმსის“ მტკიცებით, შეერთებულ შტატებს „მკაფიო, კანონიერი ინტერესი“ აქვთ კვიპროსის საკითხში. სიტყვა „მკაფიო“ დავას არ იწვევს. მაგრამ რა უდევს საფუძვლად „კანონიერებას“? ის ხომ არა, რომ ამერიკელმა აჩესონმა შეიმუშავა კვიპროსისათვის დამოუკიდებლობის წართმევის იმპერიალისტური გეგმა? ან, შეიძლება, ის ფაქტი, რომ კვიპროსის ნაპირების ახლოს დგას ამერიკის მეექვსე ფლოტი, რომლის იქ მუდმივად ყოფნის „კანონიერება“, თავაზიანად რომ ვთქვათ, ეჭვს იწვევს?

მოითხოვს რა კვიპროსის საკითხზე „ვიწრო“ კონფერენციის მოწვევას, „ტაიმსი“ ამტკიცებს: „რომ დავიცოდოთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ასამბლეას, ეს ნიშნავს მხოლოდ გავადიდოთ ახალი აფეთქების საფრთხე“.

თუ გავითვალისწინებთ, რომ თურქეთის ავიაციის მიერ კვიპროსის ამასწინანდელ დაბომბვას თანხმობის დუმილით შეხვდნენ ინგლისი და ამერიკის შეერთებული შტატები, „ტაიმსის“ გაფრთხილება ერთგვარ მუქარად გაისმის.

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘ ᲒᲐᲚᲐᲪᲨᲘ

ᲔᲠᲗᲘ ᲗᲐᲕᲘ ᲠᲝᲛᲐᲜᲘᲓᲐᲜ „ᲜᲐᲤᲢᲕᲠᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲘ“

ᲯᲘᲯᲘ ᲥᲚᲓᲐᲥᲘᲗᲘᲗ

ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ ᲚᲝᲠᲗᲙᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ

ᲩᲝᲮᲔᲚᲘᲡ მანქანამ კვამლში გახვეული საკირეს ჩაუქროლა და კალთოუბნის განიერ ორლობეში შეჯახდა.

რთველი მოლეული იყო. ჩოხელი ხედავდა ჩათლილ ღობეებს, მიწაზე დატკეპნილ ფოთლებს, მარგილებზე ჩამოცმულ ძირგავარდნილ კალათებს, ჩამომტვრეულ ტოტებს...

ხედავდა, როგორ თამამად შესეოდნენ ფრინველები ნაგერალს.

მოკრეფილი ბალ-ვენახები რაღაც გამოუცნობ სევდას ახვევდა გულზე სიმონ ჩოხელს. თითქოს ებრალებოდა დარჩეული, ნაყოფისაგან დაცლილი ბუნება, თუმცა თვითონაც ხშირად იტყოდა ხოლმე, თუ ძალა არ იხმარე, ბუნება თავისი ნებით წინ ტაბლას არ დაგიდგამსო.

სოფელს რომ გასცდნენ, ჩოხელმა სთქვა:

— დიდი ხანია ერთი რამ მინდა გკითხო და სულ მავიწყდება. თუ ძმა ხარ, ნუ დამიმალავ, პირდაპირ მითხარი!

— ეჰ, — ცოტა ყახიდად ამოიოხრა თადია რაინაულმა: — შენ დაიწყე ჩუმათობა ამ ბოლო დროს, ჩემო სიმონ, თორემ მე რა მაქვს ზენგან დასამალავი!

რაინაულს პასუხი ჯერ კიდევ ენის წვერზე ეკიდა, რომ იგი უკვე მიხვდა, ჩოხელი საითკენ უხვევდა; ამიტომ გულში აიფხორა, ეკლიან სიტყვას დაუწყო ძებნა.

— რატომ არ გიყვარს ყანჩაშვილი? დაგიშავა რამე? — ჰკითხა ჩოხელმა.

— მე პირადად არაფერი.

— მაშ ვის?

— არ ვიცი. შეიძლება არცავის...

— ვერაფერი გამიგია!

— უნდა გამოგიტყდე სიმონ, ჯერ მე თვითონაც არ ვიცი, მაგ ბიჭი რატომ თვალში არ მომდის! არც სიტყვით, არც საქმით არჩილს ჩემთვის არა დაუშავებია რა. გზაში სალამს ვერ მოვასწრებ! ძალიან თავაზიანად და მეგობრულად მექცევა. მცოდნე და ჭკვიანი ბიჭი უნდა იყოს...

— მაშ რა გინდა, კაცო! — გულსავსედ ჩაიცინა ჩოხელმა. ამ ბოლო დროს ძალიან უხეროდა, არჩილ ყანჩაშვილის ქნებას რომ გიგონებდა.

— რა მინდა? — თადიამ საათალე მოიხსნა და ჩოხელს თვალებში შეხედა.

„როგორ გამოიცვალა, სათვალე რომ მოიხსნა. თითქოს უცნობი იყოს!“ — გაიფიქრა ჩოხელმა.

რაინაულმა სთქვა:

— ვეტყვი რაც მინდა, თუ ისევ ყვირილს არ დაიწყებ!

— აბა, გისმენ! — ჩოხელმა ძენწას ბიჭს მხარზე ხელი დაჰკრა, ნელა წადო.

— ყანჩაშვილი იმიტომ არ მიყვარს, რომ ძალიან მალე, მოარგო გასაღები შენს ხასიათს! ქვეყანა რომ დაიქცეს, ერთ უსიამოვნო ამბავს არ მოგიტანს!

— ჩემი ხასიათი რა შუაშია?!

— შენი ბრალია, სიმონ, რომ ყანჩაშვილი და ზოგჯერ სხვებიც სიმართლეს გიმალავენ, ყველაფერს არ გეუბნებიან...

ჩოხელმა შუბლი შეიკრა. რა არის ეს? კადნიერება თუ გადამეტებული გულწრფელობა.

ახე მოურიდებლად ძმა-ბიჭები ელაპარაკებიან ერთიმეორეს. ჩოხელი და რაინაული, მართალია, სიყრმის მეგობრები არიან, მაგრამ ეს თუ გახსოვს, ისიც უნდა გახსოვდეს — ახლა შენი სიყრმის მეგობარი რაიკომის მდივანია და მასთან საუბელ სიტყვას შალაშინი სჭირდება.

„თადია რაინაულს ბოლო დროს ცოტა თავს გაუვიდა!“ — გაიფიქრა ჩოხელმა, მაგრამ როგორც ყველა ჭკვიან კაცს სჩვევია, საწყენი გულში მალე დაიდუღა და სთქვა:

— შენ მართლა აღარ ხუმრობ, თადია! ვეტყობა, რაღაცას არ მეუბნები!

— ვეტყვი. მხოლოდ ახლა არა.

— რატომ? — ჰკითხა ჩოხელმა.

— დღეს ბევრი საქმე გვაქვს და არ მინდა ერთმანეთს წავეჩხუბოთ.

— ასეა საქმე?!

— შეიძლება ასეც იყოს.

ჩოხელმა ჩუმად ჩაიცინა და მინდორს გახედა.

„დამაცინის! — გაიფიქრა რაინაულმა: — რახან პირველი მდივანია, ასე ჰგონია, პირველი ჭკუის პატრონია და ყველაფერში მართალია!

სათქმელი კი ბევრი ჰქონდა თადიას რაინაულს.

დიდი ულელი დაიდგა კისერზე წიფლისწყაროს რაიკომის პირველმა მდივანმა სიმონ ჩოხელმა.

შარშანწინ, აპრილის პლენუმზე ენამ წინ გაუსწრო ჩოხელს, ცენტრალურ კომიტეტს ისეთი რამ შეჰპირდა, რაც მისი კისრისა არ იყო.

დინჯი, დაფიქრებული კაცი იყო სიმონ ჩოხელი. მაშ როგორ მოუვიდა, რომ ასე უანგარიშოდ ამოდენა ტვირთს ხელი წამოჰკრა. არც რაიონის ძალღონე ასწონ-დასწონა, არც ამხანაგებს დაეკითხა... ავიდა ტრიბუნაზე და წარბშეუხრელად განაცხადა — ტარიბანას ჯაგნარს ამოძირკვავენ, უსარგებლოდ დაგდებულ მინდვრებს გადახნავენ, მიმინოს ხეს ნაპირებს გაუშვარებენ და შირაქში პურის ხვავს ერთი-ორად გაამრავლებენ...

„გაისად წიფლისწყაროს რაიონს თორმეტი ათასი ჰექტარი საყანე მიწა შეემატებაო“, — სთქვა ჩოხელმა.

პლენუმმა ტაში დაუკრა ჩოხელის გაწყობილებას. ის ტაში ძვირად დაუჯდა სიმონ ჩოხელს. წელებზე ფეხი დაიდგა, არც თვითონ მოისვენა, არც სხვები მოასვენა — პირობა მაინც ვერ შეასრულა.

ვერც ტარიბანას ჯაგნარი ამოძირკვა, ვეღარც მიმინოს ხეს მოერია. სამარაგო ნაწილების უქონლობის გამო, თერმეტი დიზელი ზამთარ-ზაფხულ უძრავად იდგა ფარდულში.

მოურეველმა ტვირთმა მალე მოქანცა და სულთაგან დასცალა სიმონ ჩოხელი და შეიძლება სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ ჩოხელს პირდაპირ ბნედა მოსდიოდა, როდესაც უსიამოვნო ამბავს მიუტანდნენ.

ცუდი ამბავი განა ვის უყვარს, მაგრამ ჩოხელი ყველაფერს მწარედ განიცდიდა. პატარა ურიგობა ისე გადარევდა, თითქოს წარღვნის წვიმა მოდიოდა. მღელვარებისაგან ქვედა ბაგე ცახცახს დაუწყებდა.

ერთხელ მილარიდან შეატყობინეს, ჭოგის თვალს გამახარეს ძრე გაუშრაო. ჩოხელმა ჯავრისაგან ტელეფონის მილაკი ბუდეს დაახეთქა, ერთიცა და მეორეც ნამსხვრევებად აქცია.

მცირე რამ საწყენი ისერიგად შესძრავდა ამ მოწიფულ კაცს, პირშავ მახარობელს მერე მოელი დღე სანანებლად ჰქონდა, ნეტა არ მეთქვა და ასი-ორასი ლიტრა რძე სახლიდან მომეტანა.

ზოგიერთს მართლაც მოჰქონდა.

დუბოვის ახალთახალ კომბაინს რაღაც ფარსაგად ღერძი გაუტყდა. ეტყობა, ჭარხნიდან გამოყოლილი მანკი ჰქონდა, მაგრამ დუბოვმა მიწა გახეთქა და ახალი ღერძი ეშოვა, რომ ჩოხელს ელდა არ სცემოდა.

ბევრ საქმეს ბევრნაირი ჭკუა უნდა.

სიმონ ჩოხელი კი ცოტა შეზღუდული კაცი იყო და რაკი იმოავითვე იმედი გაუცრუვდა და პლენუმზე მიცემული სიტყვა დროზე ვერ შეასრულა, სულის მშვიდობა თანდათან დაჰკარგა, თვითონაც აფორიაქდა და ხელქვეითების გულშიაც ფორიაქი შეიტანა.

ბოლო დროს ისეთი ფიცები და გულნამეცეცა გახდა, ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაკი პირში სიმართლეს ვეღარ ეუბნებოდა.

ჩოხელი სათქმელს განა ბოლომდე მოგისმენდა, როგორც თავკაცს მმართებდა.

პირველსავე სიტყვაზე წარბებს შეიკრავდა და ისე მწყრალად შემოგხედავდა, თითქოს არც მეტი, არც ნაკლები — ქვეყნის დამქცევი და ამომგდები იყავი.

ბანსა და ერდოს თავზე დაგამტვრევდა, ერთი სიტყვა რომ შეგებრუნებინა.

ჩოხელის ხასიათში მომხდარმა ცვლილებამ არჩილ ყანჩაშვილიც ისე გათალა, სიმართლის ლაპარაკს გადაჰვნა.

შირვანში ბატკანი გაწყდებოდა თუ მწყარე წყალთან ყანას ცეცხლი გაუჩნდებოდა, ან ქალები სასუქს ხევში გადაყრიდნენ, მთავარი აგრონომი ჩოხელს ყველაფერს უმალავდა, ან არადა, უსიამოვნო ამბავს ისე შეაფერადებდა, მერე სიმართლეს ფასი აღარ ჰქონდა.

სწორედ ამიტომ ეჯავრებოდა იგი ინჟინერი რაინაულს და ხანდახან გულში ბუნდად გაუელვებდა, წითელი დათას ვაჟი ოდესმე მახეს დაუგებდა თავის ყოფილ მასწავლებელს.

პირველ ხანში ჩოხელსაც თვალში არ მოუვიდა ახალგაზრდა აგრონომი.

სიმონ ჩოხელს არ უყვარდა მეტისმეტად დაუზარებელი და თავაზიანი ადამიანები, სულ თვალებში რომ მოგჩერებიან და რით გაამინ, აღარ იციან.

ამავე დროს ხელმოსაკიდი მიზეზიც ვერაფერი ეპოვნა ახალგაზრდა აგრონომის გასამგუნებლად.

„მარჯვე კაცია! რას დავეძებ, დღეში თვალებში რამდენჯერ შემომხედავს, ოღონდ საქმეს მიხედოს!“ — ფიქრობდა ჩოხელი. ამიტომ იყო, იგი ვეღარც ემხრებოდა და ვეღარც ეყრებოდა მგელივით დაუღლელ ყანჩაშვილს.

მიწის ზურგს კანი ამყარა, იმდენს დადიხო, იტყოდა ხოლმე ზაქარია ნადიბაძეს, როდესაც მლაშე ტბასთან თვალს მოჰკრავდა ყანჩაშვილის ჭილობის ქუდს.

უეცრად ჩოხელმა ძენწას ბიჭს მხარზე ხელი დაჰკრა.

გახურებულმა მუხრუჭებმა უსიამოდ დაიწივლეს. მანქანა ერთბაშად დადგა და რულმორეული თადია საკარე მინას კინაღამ შეასკდა. თვალები სჭყიტა.

ჩოხელს მანქანის კარი გაეღო და მოღუშული გასცქეროდა რომელიღაც გლეხის კარმიდამოს:

— ხედავ! — სთქვა მან.

რაინაულმა თვალი გაადევნა ჩოხელის თვალს.

ვაზის ლერწისაგან შეკრული ღობის გადაღმა მანუჩარ უგრეხელიძე ეზოს ხნავდა. ყეკარ ხარკამჩის მარდად მიჰქონდა გუთანი ნაწვიმარზე.

ამ სურათმა გული აუმღვრია ჩოხელს. ყველაფერს იფიქრებდა კაცი, მაგრამ თუ მანუჩარ უგრეხელიძე ალოობის დროს კოლექტივს ზურგს შეაქცევდა, ეს კი აღარ ეგონა ნიფლისწყაროს რაიკომის პირველ მდივანს.

უეცრად გაახსენდა, გასულ კვირას პარტიულ კონფერენციაზე დამაკმაყოფილებლად შეაფასეს მისი მუშაობა.

„დამაკმაყოფილებლად!“ — ჯავრიანად დამარცვლა მან და ისევ უგრეხელიძის ეზოს გახედა.

მანუჩარი საქცევზე გასულიყო და დაზეზეურებულ გუთანს მიწაში აღრმავებდა.

— არა, ჩემო თადია! — მიუბრუნდა ჩოხელი თუთუნის ბოლმეზე გახვეულ ინჟინერს. —ჩემი მუშაობის ნამდვილი შემფასებელი აი ეს არის, კოლმეურნე მანუჩარ უგრეხელიძე. მე რომ კარგად ვმუშაობდე, იგი აქ მიწის ჩიჩქნას არ დაიწყებდა!

— მაშ კონფერენცია...

— ისევ ძველ ნაკვალევს გაჰყვა, ჩემო თადია! — მოუთმენლად შეაწყვეტინა ჩოხელმა: — სანამ მთლად კისერს არ მოვიტეხ, მანამ სულ დამაკმაყოფილებელი ვიქნები! ეს არის უბედურება!

— მაშ რა გინდოდა, კაცო! შერცხვენა და გაშავებდა?!

— არც შერცხვენა და არც გაშავება, — ხმა შეიმაღლა ჩოხელმა: — მაგრამ არც საქმის წახდენა მინდა. შენ ხომ იცი თადია, როგორ მოხდა ყველაფერი!

იცის, როგორ არ იცის, ომი ახლახან დამთავრებული იყო. ბერლინიდან ჩამოსულ ჩოხელს ჯერ კიდევ სამხედრო ტანსაცმელი ეცვა.

რომელიღაც თათბირზე ცენტრალური კომიტეტის მდივანს ირაკლი ყიფიანს მისი სიტყვა მოესმინა და ძალიან მოსწონებოდა.

თათბირი რომ დამთავრდა, ყიფიანმა დაუძახა და ჰკითხა, შენ რომელი ჩოხელი ხარ, ომამდე ახალციხიანის ასპირანტი ბომ არ იყავიო.

— ვიყავიო, მიუგო ჩოხელმა.

ახლა სადა ხარ, რას აპირებო.

— მაშინ დისერტაციას ვწერდი, ამბანაგო მდივანო. მინდა ისევ იმას ჩავუჯდე და წელსვე დავამთავრო.

— თემა? — ჰკითხა — ყიფიანმა.

ჩოხელი ცოტა შეიშმუშნა, ნირი შეეშალა.

— გრძელი სათაური აქვს... ზეპირად ვერც კი დიმახსოვრებს კაცი!

სათაური მართლაც გრძელი ჰქონდა სიმონ ჩოხელის სადისერტაციო შრომას.

„ძ ბ ვ ე რ ი ს ზ ბ ვ ე რ ა დ ც ვ ლ ი ს ზ ო გ ი ე რ თ ი პ რ ი ნ ც ი პ უ ლ ი ს ა კ ი თ ხ ი ს ა თ ვ ი ს ქ ა რ თ უ ლ ი ე ნ ი ს ი ნ გ ი ლ ი ო ს ტ ი ლ ო ს ა ლ ი ა ბ ა თ უ რ ი კ ი ლ ო კ ა ვ შ ი“.

ყიფიანს ღიმილი მოერია.

— რა დროს ალიაბათური კილოკავია, შე კაცო, როცა ნახევარი შირაქი უპატრონოდ გდია, მოუხვნელი და დაუთესელი. ქვეყანა არ დაიქცევა, შენი დისერტაცია ცოტახანს გვერდზე რომ გადასდო და აი, ამ გაჭირვებულ მიწას მიხედო! შენ თვითონ კარგად იცი, ვინც ამ შირაქის მომხედავი იყო და მისი მადლი იცრდა, ისინი ახლა იქა წვანან, ჭერჩის მინდერებში... შირაქი გიგვსო შავი ქაღალდებით! შენ, ძმაო, შირაქში ყველა ბუჩქის ძირი გცოდნია! ან ეს ამოდენა მეტახელი რამ დაგამახსოვრა! გეტყობა, იქაურ ხალხსაც კარგად იცნობ!

კარგახანს ესაუბრა ირაკლი ყიფიანი მომავალ ენათმეცნიერს, მერე ოჯახის ამბავი გამოკითხა და დაემშვიდობა.

— თურმე იმ ხანებში ჩვენი რაიკომის მდივნის შეცვლას აპირებდნენ და რაღაც ეშმაკად ხელში მე არ მოვხვდი ამხანაგ ყიფიანს?! შემახსენელ, ხელი ჩამქაცა, ომიდან ჩამოსულმა კაცმა ახლა ქვეყანას სული უნდა მოუბრუნოსო! მეც უარი ვეღარ ვუთხარი. არ გასულა ორი, კვირა პირველ მდივნად ამირჩიეს.

— ჩემი ოცნებაც ეს იყო, სიმონ — შენ აქ მენახე, აქაურობის პატრონად! — სთქვა რაინაულმა.

— მერე რა გამოვიდა! „დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოსო!“ შეიძლება ჩაითვალოს? არ შეიძლება. ჩემი ტვირთი უფრო მძიმე გამოდგა, ვიდრე ჩემს მხრებს შეეძლო. მინდა ეს უღელი კისრიდან პატიოსნად მოვიხსნა და ისევ ჩემს დისერტაციას დავუბრუნდე, მაგრამ...

ᲔᲠᲗᲘ ᲗᲐᲕᲘ ᲠᲝᲛᲐᲜᲘ



ცნობები, ფაქტები

გვაცნობინებენ „კომუნისტის“ მკითხველები, კორესპონდენტები

ედინბურგში — ფესტივალზე

რამდენიმე დღეში შოტლანდიის ქალაქ ედინბურგში გაიხსნება ტრადიციული მუსიკალური ფესტივალი. ფესტივალზე მოწვეული არიან ჩვენი ქვეყნის მუსიკალური ხელოვნების მოღვაწეები.

საბჭოთა მუსიკოსების ჯგუფში საქართველოდან არიან კომპოზიტორები შ. მშველიძე, ა. შავერზაშვილი და მუსიკათმცოდნე მ. ფიჩხაძე, რომლებიც მოკავშირე რესპუბლიკების სხვა წარმომადგენლებთან ერთად უკვე გაემგზავრნენ შოტლანდიაში.

მეთაში, მწყემსებთან

ზაფხულში მწყემსები მშობლიურ კოლმეურნეობებს, ფერმებს ტოვებენ და პირუტყვს მთებში მიერეკებიან.

წელს იალაღებზე პირუტყვი გარეკეს ზუგდიდის რაიონის ჭკადოშის, რუხის, ინგირის, ჭაქვინჯის, რიყის, შამგონის, ოქტომბრის და სხვა კოლმეურნეობებმა.

ამას წინათ მათ ეწვია აგიტმხატვრული ბრიგადა, რომლის წევრები ესაუბრნენ მწყემსებს მათთვის საინტერესო სხვადასხვა საკითხებზე, გამართეს კონცერტი.

ბ. როგავა.

„სათაფლია“ წყალჯუბოში

წყალტუბო. (საკ. კორ.). ქალაქის ცენტრში, სანატორიუმ „მეშახტის“ წინ აგო და საექსპლოატაციოდ გადაეცა რაიკოოპკავშირის უნივერსალური მაღაზია „სათაფლია“.

მოჩუნჩუნებს „სირჩე“

ზესტაფონი. (საკ. კორ.). საირმის წყლის ჩამომსხმელი ქარხანა, რომელიც ზესტაფონის სამრეწველო ზონაში შეიის, წარმატებით მუშაობს. ქარხნის კოლექტივი ყოველდღიურად 20-25 ათას ნახევარლიტრიან ბოთლ სამკურნალო წყალს ასხამს.

წელს ჩამოსხმება 3.600 ათასი ბოთლი „საირმე“. სამკურნალო - მინერალურ წყალს მიიღებენ მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, ხარკოვის, ხაბაროვსკის და სხვა ქალაქების მშრომელები.

ხვავდება თევზეული

ხვავიანი თევზჭერა აქვთ ფოთელ მეთევზეებს. კოლმეურნეობა „კოლხიდამ“ მიმდინარე წლის გეგმა პირველ კვარტალში შეასრულა და მომავალი წლის ანგარიშში უკვე 8.500 ცენტნერი თევზი ჩაბარა.

მნიშვნელოვნად განმტკიცდა კოლმეურნეობის საფინანსო-სამეურნეო მდგომარეობა. შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გზით მიღებულია დიდძალი მოგება, ხოლო განუყოფელი ფონდი 280 ათას მანეთს შეადგენს.

ა. კომაპანიძე.

მკითხველის კალმით

□ კურორტ ბორჯომში წელს ბევრი დამსვენებელია. მათ კულტურულ მომსახურებას უწევენ როგორც ადგილობრივი, ისე ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ხელოვნების მუშაკები.

ამ დღეებში პარკის საკონცერტო დარბაზში კონცერტი გამართა კარელიის ასსრ სახელმწიფო ფილარმონიის საესტრადო ანსამბლმა.

ვ. კვარაცხელია.

□ **თბომავალ** „ადმირალი ნახიმოვის“ იკიპაჟის წევრებს დიდი ხნის მეგობრობა აქვთ ბათუმის პიონერთა და მოსწავლეთა პარკის წევრებთან. მეზღვაურები ყოველ წელს პარკის აქტივისტებს უფასო მგზავრობას სთავაზობენ შავიზღვისპირა ქალაქებში.

ამას წინათ 30-ზე მეტი უფროსკლასელი სამი კვირის განმავლობაში მოგზაურობდა თბომავლით.

გ. რევაზიშვილი.

□ **შვიდწლედის** მეექვსე წლის მეორე კვარტალის შედეგების მიხედვით ცეკავშირის სამმართველოს ქუთაისის სარაონთაშორისო ხელობსტნელის ბაზის (დირექტორი ა. ასათიანი) კოლექტივმა გამარჯვება მოიპოვა და მას (ცეკავშირის გამგეობის, სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია მიეკუთვნა.

ივ. ბუხაიძე.

კინო — მეგობრობის გზა

თბილისში დაიწყო რუმინული კინოფილმების ფესტივალი

ამ დღეებში მოძმე სოციალისტური ქვეყნის — რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელებმა დიდი ზეიმით აღნიშნეს თავიანთი ქვეყნის ფაშისტ დამპყრობთაგან განთავისუფლების 20 წლისთავი.

რუმინელი ხალხის ამ ეროვნულ დღესასწაულთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირში ტარდება **რუმინული კინოფილმების ფესტივალი.** ჩვენი სამშობლოს დედაქალაქის — მოსკოვის, მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქების, აგრეთვე ლენინგრადის, სვერდლოვსკის, ეროგოგრადის, სოჭის და სხვა ქალაქების მაყურებლები ფესტივალის დღეებში ნახავენ რუმინეთის კინოხელოვნების ოსტატთა მიერ შექმნილ ახალ მხატვრულ და დოკუმენტურ ფილმებს.

თბილისში კინოფესტივალი გუშინწინ, 25 აგვისტოს გაიხსნა რუსთაველის სახელობის კინოთეატრსა და კინოთეატრ „ამირანში“.

პირველ დღეს ჩვენმა მაყურებლებმა ნახეს ორსერიანი ფაროოეკრანიანი მხატვრული ფილმი **„ტუდორი“.** ეს არის დიდი მხატვრული კინონაწარმოები, რომელიც ამაღელვებლად მოგვითხრობს რუმინელი ხალხის გმირულ ბრძოლაზე ეროვნული თავისუფლების მოპოვებისათვის. ფილმის მთავარი გმირია ლეგენდარული ტუდორ ვლადიმირესკუ — რუსეთ-თურქეთის ომის მონაწილე და პანდურთა 1821 წლის აჯანყების მეთაური.

„ტუდორს“ გარდა ფესტივალის დღეებში, რომელიც 6 სექტემბრამდე გაგრძელდება, ნახავენ ფილმებს „ერთი საღამოს სიყვარული“, „სიყვარულის ასაკი“, „უცხო“, „ზღვის კატა“, „დასვენება ზღვასთან“, აგრეთვე ქრონიკალურ-დოკუმენტური და სპეციალიერო-პოპულარული ფილმები.

ფესტივალთან დაკავშირებით თბილისში ჩამოვიდნენ რუმინელი კინოხელოვნების ოსტატები — ცხობილი კინორეჟისორი **ფრანჩისკ მუნტიანუ,** კინომსახიობები **გრაციელა ალბინი** და **ემანუილ პეტრუცი.** ფ. მუნტიანუს რეჟისორული შემოქმედებიდან ფესტივალის დღეებში გაეცნობით მის ახალ ნამუშევარს — „სიყვარულის ასაკს“. გ. ალბინი შეგიძლიათ ნახოთ „ერთი საღამოს სიყვარულში“, ხოლო ე. პეტრუცი ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებდა ფესტივალის პრემიერაში — „ტუდორში“.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ფრანჩისკ მუნტიანუ არა მარტო კინოდეტისორი, არამედ ცნობილი რუმინელი მწერალიც გახლავთ. თავის რომანებსა და მოთხრობებში მუნტიანუ გვიხატავს იმ ახალ მოვლენებს და დიდ ტვლილებებს, რაც დაახასიათებელია რუმინელი ხალხის ახალი ცხოვრებისათვის.

გაზეთ **„კომუნისტის“** კორესპონდენტი შეხვდა ჩვენს სტუმრებს — ო
მინელ კინომოღვაწეებს და სთხოვა რამდენიმე სიტყვით გასაუბრებოდნენ ვაზეთის მკითხველებს. აი მათი ნაამბობიც:

ფრანჩისკ მუნტიანუ: ჩემს სამშობლოში დიდი დღესასწაულია, ჩემი მშობლიური ხალხი ეროვნული თავისუფლების დღეს ზეიმობს. ეს თავისუფლება და ახალი ცხოვრება რუმინელმა ხალხმა გმირი საბჭოთა არმიის და ხალხის დახმარებით მოიპოვა. ამიტომ განსაკუთრებით სასიამოვნოა, რომ ამ ზეიმის დღეებში თქვენთან ვარ, თქვენს ქვეყანაში, მეგობართა შორის.

ცხადია, ისიც დიდად სასიამოვნოდ მრჩება, რომ თბილისში ჩვენი კინოხელოვნების ფესტივალია, სადაც ჩემს ახალ ნამუშევარსაც გაეცნობით. წინასწარ, მე მგონი, გამართლებულიც არ იქნება რაიმე მოგახსენოთ „სიყვარულის ასაკის“ ავკარგიანობაზე. თქვენ თვითონ ნახეთ, გაეცანით. ჩემთვის თქვენი აზრი უფრო საინტერესო იქნება.

გრაციელა ალბინი: თბილისში პირველად ჩამოვედი. ჯერ მხოლოდ ერთი დღეა თქვენი სტუმარი ვარ და უკვე მეგრი რამის ნახვა მოვასწარი. გვქონდა საინტერესო შეხვედრები როგორც ქართველ კინომოღვაწეებთან, ისე მაყურებლებთან.

ძალიან მინდა, რომ თბილისში ჩვენი ჩამოსვლა მხოლოდ ფესტივალში ოფიციალური მონაწილეობით არ შემოფარგლოს. ურიგო არ იქნება შემოქმედებითი კონტაქტები დავამყაროთ საქართველოს კინოსტუდიასთან, განვახორციელოთ ქართველი და რუმინელი კინომსახიობებისა და რეჟისორების შემოქმედებითი გაცვლა-გამოცვლა.

ემანუილ პეტრუცი: კინოფესტივალების მოწყობა რომ კარგი და სასარგებლო ტრადიციაა და დიდად უწყობს ხელს სხვადასხვა ქვეყნის კინოხელოვანთა დაახლოებას, აშაზე, ეფექრობ, არცა ღირს სიტყვის გაგრძელება.

მინდა კვლავ გავიმეორო სხვათა მიერ მრავალგზის ნათქვამი: კინო არის და უნდა იყოს ხალხთა შორის მეგობრობის განვითარების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება. ხალხებს შორის დავთესოთ სიკეთე და განვამტკიცოთ მეგობრობა — ამ დევზიით უნდა ვიხელმძღვანელოთ ჩვენს შემოქმედებით მუშაობაში. ყოველი შემოქმედის კეთილშობილური მოგალეობაა ბრძოლა და შრომა ჰუმანიზმის სახელით. კინოხელოვნების შესაძლებლობანი ამ მხრივ განუსაზღვრელია. შეეცადოთ სრულად და სწორად გამოვიყენოთ ეს შესაძლებლობანი.

* * *

სურათზე: ქართველ და რუმინელ კინომოშაკთა ერთი ჯგუფი. (მარცხნიდან) მსახიობები — ე. პეტრუცი, დ. ნერეოლი, გ. ალბინი, თ. სეფერთილაძე, რეჟისორები — ს. დოლიძე, ფ. მუნტიანუ, ნ. ნენოვა და მსახიობი მ. წულუკიძე.

ფოტო გ. გოგოხიასი.

ჩვენი უცხოელი სტუმრები



ახლახან საქართველოს სტუმრად ეწვია ცნობილი ინგლისელი გამომცემელი გაზეთებისა და სატელევიზიო კომპანიათა მფლობელი ლორდი **როი ტომსონი.** ის თბილისში ყამირის მხარიდან ჩამოფრინდა. მას თან ახლდა გაზეთ „სანდი ტაიმსის“ კორესპონდენტი დეივიდ ლეიტჩი. ყამირის მხარეში ლორდი როი ტომსონი ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს შეხვდა. საბჭოთა მთავრობის მეთაურთან ერთად მოიარა და დაათვალიერა ეგზეთილი ყამირი.

...საღამოვდებოდა. მანქანამ აეროდრომიდან ცოტა ხანს ჩამავალი მზის პირდაპირ იარა. მერე შუქი მიანთეს გზას და ბალე მთაწმინდაც აბდღვრიალდა. წითლად აციმციმდა სატელევიზიო კოშკიც.

ინგლისელმა სტუმარმა მოციმციმე მთისკენ გაიშვირა ხელი:

— რა ჭკვიანი იმთა?

— მთაწმინდა.

— აი სწორედ მაგ წმინდა მთაზე მითხრა ბატონმა ხრუშჩოვმა, ადით და საღამოს თბილისს იქიდან გადმოხედეთო. ძალიან კარგი იქნება, თუ ამ საღამოთევე ავალთ, — თქვა ლორდმა როი ტომსონმა.

... დაბლა თბილისი კაშკაშებდა, მაღლა ვარსკვლავებით მოჭედილი ცა. ლორდმა ტომსონმა დიდხანს უცქირა საღამოს თბილისს. თავის ირგვლივ თითქოს ვეღარავის ამჩნევდა, სიბაგგრო გზის შორიახლო იდგა და ჩუმად გასცქეროდა. ბოლოს ღიმილით თქვა: „თბილისში თუნდაც მარტო ამ საღამოს გულისათვის ღირდა ჩამოსვლა“.

მეორე დილით ინგლისელი სტუმარი უკვე სიდნაღში იყო. „ეს ქალაქი ცდან ჩამოშვებულს ჰგავს, გალავნით გარშემორტყმულს ორმოცი ჰექტარი უჭირავს“. ეს სიტყვები ლორდმა ბლოკნოტში ჩაიწერა. ხოლო როცა კულტურის სახლთან სამპროცენტიანი ობლიგაციის რეკლამას მოკრა თვალი, თანამგზავრს მიუბრუნდა და ხუმრობით თქვა: „აი ხედავთ, ფული სუყველას გვიყვავრს, კაპიტალისტებსაც და კომუნისტებსაც. ეს ცუდი როდია“. მერმე ლორდმა როი ტომსონმა ქალაქის ზეგანის მაღალი დაათვალიერა და დიდად ესიამოვნა, როცა გამეიდველმა რამდენიმე ინგლისელი ავტორის წიგნი გადმოუღო. „ეს დიკენსია“, უთხრა გამეიდველმა. რა „ღორს“?, იკითხა ლორდმა. ის საერთოდ ხშირად კითხულობდა ფასს.

სიდნაღიდან ლორდი როი ტომსონი ბურჭაანში, სოფელ ვაზისუბნის კოლმეურნეობაში გაემგზავრა. სტუმარი გაეცნო არტელის საზოგადოებრივ მეურნეობას კოლმეურნეთა შრომასა და ყოფაცხოვრებას. იგი, ვიდრე გამომცემელი გახდებოდა, ფერმერი იყო კანადაში და, როგორც ეტყობა, ცუდად არ უნდა იცნობდეს სოფლის საქმეს. თანაც მეტად ცნობისმოყვარეა — შეამოირა ვაზისუბნის ზვრები და ვენახები. ხეხილის ბაღები, მერე ერთ-ერთ ვაზისუბნელ კოლმეურნესაც ეწვია. ეზოში, თონესთან, ახლად ამოყრილი ცხელი პური გატეხა, მასპინძელმა ხელდახელ ქვევრი მოხადა. „ჩემი გასუქება არ შეიძლება, მაგრამ ვატყობ, რომ ვსუქდები. თქვენს სტუმართმოყვარეობას თავს ვერ აარიდებს კაცი. ეს ერთიმბრივ ძალიან კარგია, როცა დავბრუნდები ბევრი ლაპარაკი აღარ დამჭირდება, საბჭოთა კავშირში ასე და ასე ცხოვრობენ-მეთქი...“

შუადღისას, როცა ვაზისუბნის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარემ მ. იაშვილმა სადილი გამართა ბატონ ტომსონის პატივსაცემად, მან კვლავ გაიმეორა ეს სიტყვები. სტუმარი ვაზისუბნელებმა ქართული სმელრეებით მოალბინეს. „თქვენს ანსამბლს სიამოვნებით გამოვიყენებდი ინგლისისა და კანადის ტელევიზიით“, უთხრა ლორდმა ტომსონმა კოლმეურნეობის თავმჯდომარეს და, როცა გაიგო, რომ ისინი პროფესიონალი მომღერლები კი არა, რიგითი კოლმეურნეები იყვნენ, კიდევ უფრო გაოცდა.

ორ დღეში რი ტომსონმა ბევრი რამის ნახვა მოასწრო. კვირადღე თბილისში გაატარა. დილით ერთ-ერთ საკოლმეურნეო ბაზარს ეწვია. ახალი ამბების საგაზეთო კორესპონდენტს, რომელიც თან ახლდა ინგლისელ გამომცემელს, რამდენიმე სურათი გადაიღებინა ბორცვი სავსე დახლთან. „ამ სურათებს „სანდი ტაიმსში“ დავბეჭდავ, — თქვა ლორდმა როი ტომსონმა, — ზოგს სიტყვასა იმდენი არ სჯერა, რამდენიც ფოტომასალისა“.

ინგლისელი სტუმარი საქართველოს ხელოვნების მუზეუმსაც ეწვია. დაათვალიერა ფიროსმანისა და გაბაშვილის ნამუშევართა გამოფენა, აგრეთვე ქართული ოქრომჭედლობის ნიმუშები, დიდხანს ესაუბრა მუზეუმის დირექტორს აკადემიკოს შ. ამირანაშვილს, რომელმაც სტუმარს თავისი წიგნი „ქართული ხელოვნების ისტორია“ უძღვნა სამახსოვრო წარწერით. ლორდმა რი ტომსონმა შთაბეჭდილებათა წიგნში ჩაწერა: „ეს უაღრესად საინტერესო მუზეუმია, რომლის ნახვაც დიდად მეხიამოვნა“.

ამავე დღეს ლორდ ტომსონი შეხვდა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პრეზიდიუმის წევრებს. ჟურნალისტთა კავშირის თავმჯდომარემ, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორმა დ. მჭედლიშვილმა ინგლისელი გამომცემლის პატივსაცემად დარბაზობა გამართა. ეს იყო ერთგვარი პრეს-კონფერენციაც, მეტად მეგობრული, გულთბილი.

ლორდმა რი ტომსონმა, მშვიდობის სადღეგრძელო რომ წარმოთქვა, აღნიშნა: „გულახდილად გეტყვით — ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი მიზანია ყველანაირად შევუწყო ხელი მთელი ჩემი შესაძლებლობით საბჭოთა კავშირთან დასავლეთის კეთილი ურთიერთობის განმტკიცებას“. ლორდმა ტომსონმა ეს რომ თქვა, დევიდ ლეიტჩმა დასძინა: ბატონ ტომსონს მხედველობაში აქვს თავისი 114 გაზეთი, 100 სატელევიზიო და რადიოსადგური. აი ამ შესაძლებლობის გამოყენებას აპირებს მშვიდობის საქმისათვისო.

ამავე დღეს მოსკოვიდან თბილისში ჩამოვიდა „ტომსონ ნიუსპეიპერსის“ კომპანიის დირექტორი იენ სტიუარტი, რომელიც ლორდ როი ტომსონთან და ჟურნალისტ დევიდ ლეიტჩთან. ერთად იყო ვარკვთილის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში და თბილისის ზღვაზე. შემდეგ ინგლისელმა სტუმრებმა ს. ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში პატარების მატარებლით იმოგზაურეს. ინგლისელ ლორდს პატარა რკინიგზელებმა ბილეთი არ აუღიდვინეს. ლორდმა ტომსონმა თავის თავს „უბილეთო კაპიტალისტი“ უწოდა და თქვა: „დიდად ვწუხვარ, რომ ჩემი ქალიშვილი და შვილიშვილი არ წამოვიყვანე. მომავალ წელს აუცილებლად ერთად ჩამოვალთ“.

თბილისიდან ინგლისელი სტუმრები ერევანს გაემგზავრნენ, საიდანაც სოჭში ჩავიდნენ და იქ თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სპექტაკლ „ეროლს“ დაესწრნენ. „ეს შესანიშნავი სიუჟეტია“, — თქვა ლორდმა ტომსონმა, — მე ერთხელ კიდევ ფიქრით აღმოვჩნდი ლამაზ საქართველოში“. სპექტაკლის შემდეგ ინგლისელი სტუმარი ესაუბრა ქართველ მსახიობებს, რომლებიც სპექტაკლში მონაწილეობდნენ.

სოჭიდან იალტაში გამგზავრების წინ ლორდმა როი ტომსონმა „კომუნისტის“ კორესპონდენტთან საუბარში თქვა:

— თქვენს ქვეყანაში ჩემი ეს მეტად ნაყოფიერი და ნამდვილად დაუვიწყარი მოგზაურობა შესაძლებელი იყო მხოლოდ მშვიდობიანობის დროს. მე დიდად კმაყოფილი ვარ ამ მოგზაურობით. ძალიან ბევრი რამ ვნახე და ერთხელ კიდევ დავრწმუნდი, რომ გაგონილს ყოველთვის საკუთარი თვალით ნახვა სჯობს.

რა დასამალია — ყველას თავისი არჩეული გზა ჰგონია სწორი და მართალი. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ერთმანეთის მტრები ვართ და მხოლოდ იარაღის ენით უნდა ვილაპარაკოთ. ამიტომ არის, რომ დიდად ვაფასებ ბატონ ხრუშჩოვის მეცადინეობას — გამოინახოს საერთო ენა დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის.

მე უკვე ხნიერი ვარ, სამოცდაათი წლისა. ამ ქვეყნად, იტყვიან, ავიც მინახავს და კარგიც. არ დაგიმალავთ, გულწრფელად გეტყვით, რომ ამ მოგზაურობამ ძალიან ბევრ საგანსა და საკითხზე შემიცვალა შეხედულება. მე ღრმად მჯერა, რომ მხოლოდ საბჭოთა კავშირთან კეთილ ურთიერთობასა და მეგობრობას შეუძლია მტკიცე მშვიდობის დამკვიდრება ქვეყნად. საბჭოთა კავშირი მსოფლიოს უდიდესი და უმდიდრესი ქვეყანაა, რომელთანაც მხოლოდ მეგობრულად შეიძლება ლაპარაკი.

სურათზე: ლორდი როი ტომსონი სიდნაღში.

მიწისძვრა არქტიკაში

ცენტრალურმა სეისმურმა სადგურმა „მოსკოვმა“ 25 აგვისტოს აღიუსხა ძლიერი მიწისძვრა. (დაახლოებით 8-9 ბალი ეპიცენტრში) არქტიკაში. საბჭოთა კავშირის სეისმური სადგურების მასალათა წინასწარი დამუშავების მონაცემებით, ამ მიწისძვრის ეპიცენტრი არის ქალაქ ტიქსის ჩრდილოეთით (ჩრდილოეთის განედის 78 გრადუსი, აღმოსავლეთის გრძედის 126 გრადუსი), ჩრდილოეთ ყინულოვანი ოკეანის სეისმოაქტიურ რაიონში. მიწისძვრათა ეპიცენტრები, რომლებიც გადაჭიმულა ვერხოიანსკის ქედიდან გრენლანდიამდე, მდებარეობენ ლომონოსოვის ქედის რაიონში, რომელიც 1948-1949 წლებში აღმოაჩინეს საბჭოთა მეცნიერებმა.

ასეთი ძალის წინა მიწისძვრა აღინიშნა 1909 წლის აპრილში იმ რაიონში, სადაც ლაპტევების ზღვა გადადის ყინულოვანი ოკეანის ღრმა ნაწილში.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

ტელევიზია 28 აგვისტოს

18.00 — გადაცემათა პროგრამა, 18.05 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ჩექმები“, 18.35 — განცხადებები, 18.40 — სატელევიზიო სპორტული ჟურნალი „ირმის ნახტომი“, 19.10 — კინოჟურნალი „მშენებლობის ახალი ამბები“ № 6, 19.20 — გადაცემა — „პროდუქცია და მომხმარებელი“, 19.40 — „კონნარკევეი „სახალხო კონტროლი“, 19.50 — გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის — „ვიდრე ხეს მოჭრიდე“, 20.10 — სატელევიზიო მომხიბლავი „მუსიკის სამყაროში“, 20.50 — გერმანული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ეწვანე ურჩხული“, მე-3 სერია, 22.10 — ახალი ამბები.

რადიო 28 აგვისტოს

პირველი პროგრამით

06.35 — ქართული კამერულ-ინსტრუმენტული ნაწარმოებები, 08.30 — მოკარეი. კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის დო მაჟორი, 09.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 11.15 — კონცერტი-სპექტაკლი: „ანატოლი ლიადოვი“, 12.10 — გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ ფურცელზე, 12.20 — შოსტაკოვიჩის კამერული ნაწარმოებები, 17.15 — მუსიკალური ლექსიკონი, 17.35 — გადაცემა მოსწავლეთათვის. ნარკვევი — „ელოს სიმღერა“, 18.10 — კონცერტი ლ. ბეთხოვენის და შ. კიენანის მონაწილეობით, 18.45 — ფურცანილი ხალხური სიმღერები, 19.30 — გადაცემა ციკლიდან: „საბჭოთა პროფდაკავშირეთა საოკეანეთო უნდა იყოს“, 19.45 — რომსკი-კორსაკოვი. მუსიკალური სურათი „სადკო“, 20.15 — კონცერტი რადიომსმენელთა თხოვნით, 21.00 — „ძილისპირული“, 21.15 — ქართული რომანსები, 21.30 — რადიოჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“, 23.30 — პოპულარული საოპერო მუსიკა.

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონია

სპორტის სასახლე

27, 28, 29 აგვისტო, 30 აგვისტოს დილით და საღამოს, 1, 2, 3, 4 სექტემბერი

მეგობრობის ცირკი

საერთაშორისო პროგრამა

მონაწილეობენ:

ბულგარეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, რუმინეთის, ოლგასლავიის, მონოლოეთისა და საბჭოთა კავშირის მსახიობები

სულ 80 კაცი

დასაწყისი დღისით 12 საათზე, საღამოს 8 საათზე

ბილეთები იყიდება სპორტის სასახლისა და ფილარმონიის სალაროებში.

მიიღება განცხადებები კოლექტიურ დასწრებაზე.

ცნობები ტელეფონებით 7-20-54, 7-20-02 7-01-55, 5-03-65.

ჩემპიონატები • ტურნირები • მატჩები

ლიდერი დამარცხებას გაჯაურჩა

„ლოკომოტივი“ (თბილისი)-სპა (ოდესა) 2 2 (1:0). თბილისი. 26 აგვისტო. „დინამოს“ სტადიონი.

სპა — კარაკოზოვი, ჩინიონოვი, არხიპენკო, მასლოვსკი, ბარდეშინი, კობილოჩნი, სპირიდონოვი, პეტროვი, სარიგინი, სნიგაო, ბლინდერი; „ლოკომოტივი“ — რუხაძე, ჩხეიძე, კანდელაკი, წოწელია, კიზორია, მუმლაძე, შაფათავა, აპრესიანი, იაშვილი, ახალკაცი, კოშელოვი.

მატჩის შედეგს ორივე გუნდისათვის უთუოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მართალია, ოდესელმა ფეხბურთელებმა ჯერ კიდევ ადრე გაინადგურეს დასაკნინთს ტურნირში მონაწილეობა, მაგრამ მათ სპირდებოდათ ოქროს ქუდები ისეთი გუნდისაგან, რომელიც ფინალიტ კანდიდატია. სწორედ ასეთ კოლექტივს წარმოადგენდა თბილისის „ლოკომოტივი“.

უნდა გვეფიქრა, რომ მეტოქეები ვეიჩვენებდნენ მაღალტექნიკურ, შემოქმედებით და შეუპოვარ თამაშს. შეიძლება ითქვას, რომ ეს მათ ვერ შეძლეს. დასაწყისშივ ლოკომოტიველებს პირდაპირ ვერ იცნობდით, ნერვიულობდნენ. დიდი ჯაფით მოპოვებულ ბურთს იქვე კარგავდნენ. პარტნიორის მაგივრად მოწინააღმდეგეს აწვდიდნენ.

სტუმრები მოქმედებდნენ შედარებით უკეთესად. კოლექტიურად. მათი ჩანაფიქრები გამოირჩეოდა სიზუსტით.

ლოკომოტიველებმა თანდათან შეძლეს წონასწორობის აღდგენა, უფრო აქტიურები გახდნენ. კარიმარბები შაფათავა და კოშელოვი. 27-ე და 28-ე წუთზე ოდესელთა კარი სამჯერ გადაურჩა აშკარა გოლს — ერთჯერ მეკარემ მოიგერია, მეორეჯერ ძელს მოხვდა, ბურთი, ერთხელ კი მცველმა გამოიტანეს კარიდან.

და მაინც არმიელ ფეხბურთელთა კარი ალებულ იქნა. ეს მოხდა 37-ე წუთზე. მარჯვენა ფლანგზე გათამაშებული კომბინაცია გოლით დაგვირგვინა იაშვილმა.

პაექრობის მეორე ნახევარი თბილისელებმა აქტიურად დაიწყეს და 52-ე წუთზე წარმატებასაც მიაღწიეს, ბურთი გაიტანა აპრესიანმა. ამის შემდეგ, როდესაც გამარჯვება თითქმის უზრუნველყოფილი იყო, ლოკომოტიველებმა მოადუნეს ტემპი, ყურადღებაც და შეიდომას შეცდომა ზოჭკა. ერთ-ერთმა ასეთმა შეცდომამ მასპინძელთა კართან თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმა გამოიწვია.

ეს შესაძლებლობა კარგად გამოიყენეს ოდესელებმა, შემდეგ ტაიმის დამთავრებამდე 2 წუთით ადრე მეორე ბურთიც გაიტანეს და წაგებული მატჩი ფრად — 2:2 დაამთავრეს. ორივე გოლის ავტორი იყო სარიგინი.

უკანასკნელ მატჩს თბილისს „ლოკომოტივი“ გამართავს ვოლგოგრადში 31 აგვისტოს ადგილობრივ „ტრაქტორთან“.

ოქროვანსკი კუბოკი

სამი მატჩი

მოსკოვში თამაშობდნენ ადგილობრივი „სპარტაკისა“ და ალმა-ატის „კაირატის“ გუნდები. შეხვედრის შედეგია 2:0 „კაირატის“ სასარგებლოდ.

კუიბიშევში პაექრობა ჰქონდათ აუტსაიდერთა ჯგუფის წარმომადგენლებს — „კრილია სოვეტოვსა“ და იაროსლავლის „შინიკს“. მატჩი დამთავრდა კუიბიშეველთა გამარჯვებით 1:0.

დონის როსტოვის არმიის სასპორტო კლუბის ფეხბურთელთა კოლექტივი საკუთარ მოედანზე შეხვდა მინსკის „დინამოს“ და შეხვედრა ფრედ — 1:1 დაამთავრა.

2 სექტემბერს ქუთაისის „ტორპედოს“ საკავშირო პირველობაზე საკუთარ მოედანზე მატჩი ექნება იაროსლავლის „შინიკთან“. თბილისეა „დინამო“ 3 სექტემბერს ითამაშებს კუიბიშევში „კრილია სოვეტოვის“ წინააღმდეგ.

„ა“ კლასის მეორე ჯგუფში

შედეგ „ა“ კლასის მეორე ჯგუფის მეორე ქვეჯგუფის გუნდების მატჩები ფეხბურთში ჩვენი ქვეყნის პირველობაზე. აი მათი შედეგები:

„ტრაქტორი“ (ვოლგოგრადი) - „არარატი“ (ერევანი) 1:1, „ტრუდი“ (ვორონეჟი)- „შახტიორი“ (ყარაგანდა) 0:0, „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) - „ალგა“ (ფრუნზე) 1:1, „სპარტაკი“ (გომელი) - „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) 0:1, „ლოკომოტივი“ (მოსკოვი)- „დინამო“ (ტალინი) 2:0, „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) - „კარპატი“ (ლვოვი) 1:1.

გათამაშების ცხრილი

„ა“ კლასის პირველი ჯგუფი

მდგომარეობა 27 აგვისტოსათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	გ.	ქ.
„ტორპედო“ (მ.)	20	11	7	2	37—11	29
ცსკა	21	10	7	4	32—14	27
„დინამო“ (თბ.)	21	10	7	4	24—17	27
„დინამო“ (კ.)	20	8	9	3	30—18	25
სკა (როსტ.)	21	10	5	6	30—18	25
„შახტიორი“ (დ.)	20	8	8	4	23—15	24
„სპარტაკი“ (მ.)	21	9	6	6	25—17	24
„დინამო“ (მნ.)	21	4	13	4	9—10	21
„დინამო“ (მ.)	19	6	8	5	19—14	20
„კრ სოვ.“ (კუიბ.)	21	5	8	8	11—22	18
„ვოლგა“ (გ.)	22	5	8	9	11—27	18
„ნეფტიანეკი“ (ბ.)	21	5	7	9	15—21	17
„ტორპედო“ (ქ.)	22	6	5	11	10—28	17
„კაირატი“ (ალმ.)	20	5	6	9	17—21	16
„ზენიტი“ (ლ.)	21	5	6	10	17—26	16
„შინიკი“ (იარ.)	21	4	8	9	14—30	16
„მოლდოვა“ (კიშ.)	20	4	4	12	10—25	12

საინტერესო სიახლენი

სადღვეები მიქსერი

თუ გსურთ შინ მოამზადოთ ხილის წვენი, ტომატი, კრეში, ხილისა და ბოსტნეულის პიურე, კოქტეილი, ამაში დიდ სამსახურს გაგიწევთ ახალი ელექტროტექნიკური ხელსაწყო, ე. წ. სადღვები მიქსერი. ამ ხელსაწყოს ამზადებს ჩრდილოეთ კავკასიის სახალხო მეურნეობის საბჭოს არმავირის ელექტროტექნიკური ქარხანა, რომელმაც სადღვები მიქსერის კომპლექტის პირველი პარტია (კომპლექტში შედის კოლექტორული მოტორიც) უნდა გამოუშვას მიმდინარე წლის ბოლოს.

ახალი ქიმიური პრეპარატები

ქიმიურ ნაკეთობათა კიევის ქარხნის კოლექტივმა აითვისა საყოფაცხოვრებო დანიშნულების მთელი რიგი ახალი ქიმიური პრეპარატების გამოშვება. ყურადღებას იქცევს ბუზის, ბაღლინჯოს, ხოჭოს და სხვა მწერების გასანადგურებელი საშუალება, რომელსაც მისმა შემქმნელებმა „ეროკატეები“ უწოდეს. ქარხანაში წეუფდნენ ავრეთვე საავტომობილო ძარის გასაკრიალებელი საცხის გამოშვებას. ერთი კოლოფი საცხის ფასია 60 კაპ.

დიასახლისები უთუოდ დაინტერესებიან ქარხნის კოლექტივის მიერ გამოშვებული მეორე სიახლითაც — საიტაკე სარკისებრი მასტიკით. ამ მასტიკის წასმის შემდეგ იატაკი სარკისებრ ბრეყვიალს ინარჩუნებს 4